ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 24 დეკემბერი, 2018 №304 (7849) ფასი: 60 თეთრი

„კალაძე თბილისის მერიაში შესვლასაც ფასიანს გახდის“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „არჩევნების მოგებისთანავე ხელისუფლება შეგნებულად შეუდგა ხალხის მიზანმიმართულ გაღატაკებას“

გვ.4

„გიორგი გახარია „ოცნებისთვის“ უფრო საშიში გახდა, ვიდრე ოპოზიციისთვის“

„მმართველმა გუნდმა მის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა დაიწყო“

გვ.2

გია ხუხაშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილმა გადაწყვიტა, პოლიტიკურ ბაზარზე კომპრომატების სერიით დაბრუნდეს“

ლევან ნატროშვილი: „თამარ ქვანია ცესკოს სხვა თავმჯდომარეებზე უკეთესი იყო“

გვ.3

ხათუნა ლაგაზიძე: „გახარია „ოცნების“ ახალი იმიჯის, ძლიერი ხელის, მთავარი წარმომადგენელია“

გვ.5

კონსტანტინე გამსახურდია: „ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება მთელ ქვეყანას სჭირდება“

გვ.3

სამართალი



გვ.7

გევორქ სარქისიანის მკვლელობის საქმე გადაკვალიფიცირდა და ბრალი დამატებით 2 პირს წარედგინა

ფულის გამოძალვა სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნების მუქარით

დააკავეს 1 პირი

„მსჯავრდებულმა ირაკლი ჩხეიძემ საპროცესო შეთანხმებაზე უარი განაცხადა“

ეკონომიკა

გვ.6

სილარიბის დაძლევის გზები — პრემიერის გეგმა

რა ჯდება ახალი წლის ღამის გატარება გუდაურისა და ბაკურიანის სასტუმროებში

არაფხიზელი მსესხებელი, შესაძლოა, ისევ ვირტუალურ „შავ სიაში“ მოხვდეს

ISSN 1987-9385

5 ოკუპირებულ აფხაზეთში კორუმპირებული ჩინოსნებისთვის ქონების ჩამორთმევას მოითხოვენ

4 მიხეილ სააკაშვილი გიორგი გახარიაზე: „ესაა თვითონ სასწრაფოდ გალიაში ჩასასმელი, მეტი რომ არავინ დაკბინოს“

8 თურქები და ბერძნები ერთმანეთს ემუქრებიან

4 სამხედრო ფიცში ცვლილება შედის

„გიორგი გახარია „ოცნებისთვის“ უფრო საშიში გახდა, ვიდრე ოპოზიციისთვის“

„მმართველმა გუნდმა მის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა დაიწყო“

შორენა მარსაგიშვილი

შექმნის თუ არა ოქრუაშვილი მესამე ძალას, რა კომპრომატები აქვს თავდაცვის ყოფილ მინისტრს, რატომ გადაემტერა „ოცნება“ გახარიას, გაუფუჭებენ თუ არა მას ივანიშვილთან ურთიერთობას, რა უნდა ისწავლოს შს მინისტრმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

– თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი გაზაფხულისთვის საინტერესო მოვლენებს აანონსებს. ისიც მესამე ძალის შექმნას ხომ არ აპირებს?

– ოქრუაშვილსა და მესამე ძალას შორის კავშირს მე ვერ ვხედავ. მისი განცხადება იმდენად ახალი ძალის შექმნას არ უკავშირდებოდა, რამდენადაც – კომპრომატების სერიას.

– კომპრომატების გამოქვეყნება გამორიცხავს ვინმესთან გაერთიანებასა და მასთან ერთად მესამე ძალის შექმნას?

– მოდით, ასე ვთქვათ, როდესაც მესამე ძალაზე ვსაუბრობთ, ის რაღაც ერთ პოლიტიკურ კომპონენტად არ უნდა წარმოვიდგინოთ. როდესაც მესამე ძალაზეა საუბარი, იქ მულტიპარტიულობა და ორპოლუსიანი სისტემიდან გამოსვლა იგულისხმება.

უკვე წლებია, რაც ჩვენ შულერულ თამაშს ვუყურებთ – ორი, ტრადიციული მტერ-მოყვარე შუას კრეფს, შუას გაკრეფით ქვეყანას ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთების წინაშე აყენებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, შანტაჟის ქვეშ ატარებს არჩევნებს. ამ პროცესის დასასრულებლად საჭიროა ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრების გაჩენა.

არ არის აუცილებელი ერთი მონოლითური ორგანიზაციის შექმნა. ასეთი ცენტრი რაც მეტი იქნება, მით უკეთესია ქვეყნისთვის. მთავარია, ეს ცენტრები იყოს კვალიფიციური და მინიმალური ბარიერი გადალახონ.

მესამე ძალის გაჩენა ქვეყანაში ობიექტური აუცილებლობაა, რათა ამ მანკიერ ორპოლუსიან სისტემას აღარ მივცეთ არსებობის საშუალება.

ამ მხრივ ჯერჯერობით კარგი მდგომარეობა არ გვაქვს, მაგრამ, რადგან პოლიტიკურ ბაზარზე მოთხოვნა ძალიან მაღალია, იმედი მაქვს, რომ მესამე ძალა აუცილებლად გამოჩნდება.

იმისთვის, რომ დასავლურ სტანდარტებზე გადავიდეთ და მესამე ცენტრები გამოჩნდეს, აუცილებელია, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული წესით ჩატარდეს, რაც იძლევა იმის შანსს, რომ ქვეყანაში დამკვიდრდეს მულტიპარტიული დემოკრატია. სახელმწიფო პოზიტიურ დღის წესრიგზე უნდა გადავიყვანოთ, ჩვენ კი ნეგატივისა და სიძულვილის ტყვეობიდან უნდა გამოვიდეთ.

– ისევ ოქრუაშვილის გააქტიურებას დავუბრუნდები. მისგან მესამე ძალის შექმნას გამორიცხავთ, აბა რატომ დააანონსა კომპრომატების სერია, პირად უსაფრთხოებაზე ზრუნავს? როგორც თავად ამბობს, მას დაჭერას უპირებენ.

– არა მგონია, რომ ის პირადად მისთვის რაიმე საფრთხეს ხედავდეს. თავად საფრთხის თემა, ჩემი აზრით, თითიდან გამოწოვილია.

ირაკლი ოქრუაშვილის ტიპის ადამიანები, როგორც წესი, არ ჩერდებიან. იმისთვის, რომ პოლიტიკურ ბაზარზე მოთხოვნადები გახდნენ, სკანდალურ განცხადებებსა და სკანდალურ ქმედებებს მიმართავენ. მშვიდი კომპეტენციით პოლიტიკურ ბაზარზე ასეთი ხალხი მოთხოვნადი ვერ გახდება.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ოქრუაშვილი სკანდალით იპყრობს ყურადღებას. ეს მისი პოლიტიკური მოღვაწეობის სტილი გახლავთ. ის ახლა განსაკუთრებულად სკანდალური თემით ცდილობს ბაზარზე შემოსვლას.

– თქვენი აზრით, ის ამბები, რომელთა გაჟღერებასაც ყოფილი მაღალჩინოსანი აპირებს, მართლა ისეთი სკანდალური იქნება, როგორც თავად ამბობს?

– არაა გამორიცხული, მართლა ჰქონდეს სკანდალური ამბები, არც იმას გამოვრიცხავ, თავად მოიფიქროს რაიმე. ასეთ სიტუაციაში სადაა სიმართლე და სად – ნახევრად ტყუილი, ძნელი გასარკვევი ხდება. ამ მხრივ ქვეყანაში საკმაოდ არეული სიტუაციაა.

დაველოდოთ, მოვისმინოთ და მერე შევაფასოთ, რამდენად სკანდალურ ინფორმაციებს ფლობს.

– მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრისგან გაკეთებული განცხადებები შევაფასოთ. პარლამენტში მისი გამოსვლისას ბევრს დარჩა შთაბეჭდილება, რომ მას „ქართული ოცნება“ დაუპირისპირდა. ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში დანაშაულის მატება ზოგჯერ შემაშფოთებელიც არის.

– მე ვფიქრობ, რომ პარლამენტში გამოსვლით გახარიამ მტრები გაიმრავლა. მან მტრები ოპოზიციაში კი არ გაიმრავლა, არამედ – ხელისუფლების შიგნით. „ქართულ ოცნებაში“ მან ძალიან ბევრი მტერი გაიჩინა.

– რატომ გაიჩინა მტრები ხელისუფლებაში?

– თავის გამოსვლაში გახარიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ „ოცნების“ საპარლამენტო ელიტა არანაირ პროფესიულ სტანდარტს არ აკმაყოფილებს. ისინი, ფაქტობრივად, პლინტუსს ქვემოთ არიან.

პატარა ადამიანების ცხოვრებაში ბოღმა და შური წამყვან როლს თამაშობს ხოლმე და ისინიც დაიბოღმნენ გახარიაზე.

თავად გახარიას გამოსვლაზე შემიძლია გითხრათ, რომ ამან ჩემში წინააღმდეგობრივი ემოციები გააჩინა.

ერთი მხრივ, კარგია, რომ ის კვალიფიცურად და საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება, რითიც პოლიტიკურ ოპონენტებს გადაჭარბებული პოლიტიკური სპეკულაციების საშუალებას არ აძლევს. ეს მისი პლუსია და ტაქტიკური თვალსაზრისით მას პოლიტიკურ წონასა და ფასს მატებს, მაგრამ არის ერთი ნიუანსი, რომელიც მაშფოთებს.

ეს ნიუანსი გახლავთ ის, რომ ის ზედმეტად გადაიხარა პოლიტიკისკენ, რაც შინაგან საქმეთა მინისტრის დამახასიათებელი არ უნდა იყოს. ის თუ თავისი ინსტიტუციური ვალდებულებების კალაპოტში დაბრუნდება და პოლიტიკურ კინკლაობას ძალიან არ შეჰყვება, კარგი იქნება.

გახარიას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ის არის არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ მინისტრი, არამედ – ქვეყნის მინისტრი. მათ შორის იმ ადამიანების მინისტრიცაა, ვინც არჩევნებზე ნაციონალებს მისცა ხმა.

გასაგებია, რომ ის თავისი საუბრით „ოცნების“ მხარდამჭერებს გულს ფხანს, მაგრამ მისი რიტორიკა ოპონენტების მიმართაც უნდა იყოს მიმართული და მათაც უნდა აძლევდეს გარანტიებს.

ამ მიმართულებით მან ცოტა დააკლო და პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად მოიქცა. თუმცა ეს არ არის კრიტიკული. მას დიდი ხანია ვაკვირდები და იმედი მაქვს, რომ ის კრიტიკის მოსმენას შეძლებს. შესაბამისად, მოახდენს საკუთარი საქციელის კორექტირებას.

ჩემი რჩევა ასეთი იქნებოდა – გახარია წითელ ხაზებს ძალიან მიუახლოვდა და კარგი იქნება, თუ ამ წითელ ხაზებს არ გადაკვეთს.

– აღნიშნეთ, რომ პარლამენტში გამოსვლით შს მინისტრმა „ოცნებაში“ გაიმრავლა მტრები. ეს მტრები მის წინააღმდეგ ინტრიგებს ხომ არ დაიწყებენ?

– დარწმუნებული ვარ, „ოცნებაში“ გახარიას წინააღმდეგ ინტრიგების დახლართვა უკვე დაწყებულია.

– პარლამენტში ამ დღეებში გამოვიდა სიტყვით. გამოდის, რომ მის წინააღმდეგ ამ გამოსვლამდე ადრე დაიწყო ინტრიგების ხლართვა.

– „ოცნებაში“ შს მინისტრის პარლამენტში გამოსვლამდე დაიწყო ინტრიგების ხლართვა. მმართველ გუნდში არის სხვადასხვა პატარა დაჯგუფებები. ისინი საკუთარ ჭიას ახარებენ.

– ჭიის გახარებაში უშლით მათ ხელს გახარია?

– ასე გამოდის. ამ დაჯგუფებებს სამომავლოდ რაღაც გეგმები აქვთ. გახარია მათთვის სერიოზული პრობლემაა. შს მინისტრი „ოცნების“ დაჯგუფებებისთვის უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ოპოზიციისთვის.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს ადამიანი არც ერთ ამ დაჯგუფებას არ მიეკუთვნება, ამ აქტივის გამოყენება ადვილი არ არის. გარდა მაგისა, გახარია, როგორც სამართალდამცავი სისტემის ხელმძღვანელი, მათი ინტერესებისთვის წარმოადგენს საფრთხეს.

გია ხუხაშვილი: „ირაკლი ოქრუაშვილმა გადაწყვიტა, პოლიტიკურ ბაზარზე კომპრომატების სერიით დაბრუნდეს“

– რა ინტერესებზე საუბრობთ?

– საუბარია როგორც პოლიტიკურ, ასევე კორუფციულ ინტერესებზე. ძლიერი შინაგან საქმეთა მინისტრი ასეთი სისტემებისთვის ყოველთვის დიდი ხიფათია. აქედან გამომდინარე, „ოცნებაში“ არსებული დაჯგუფებები შეეცდებიან, მას ან რაღაც მოუწყონ, ან დაელოდონ, ფეხი როდის გადაუბრუნდება, რომ წიხლი ჩაასროლონ.

ასე რომ, მის მიმართ „ოცნებაში“ განწყობა ძალიან დაძაბულია და მას ამის გათვალისწინებაც მოუწევს.

– გაითვალისწინებს?

– უნდა გაითვალისწინოს. ჩვენ ვნახეთ, რომ შეტევაში ის საკმაოდ დამაჯერებელია. ახლა უნდა ვნახოთ, როგორ მოახერხებს დაცვაში თამაშს.

– დაცვაში მას მარტო მოუწევს თამაში. როგორც თქვით, „ოცნებაში“ თავისი გუნდი არ ჰყავს. შეძლებს მარტო თავის დაცვას?

– ის, რომ მას „ოცნებაში“ გუნდი არ ჰყავს, ერთგვარი პლუსია. კარგია, არც ერთი კლანის წარმომადგენელი რომ არ არის. მეორე მხრივ, ეს მინუსიც არის, რადგან მას მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის ზურგი აქვს.

– ზურგს თუ ბიძინა ივანიშვილი გიმაგრებს, ეს პატარა საქმე არ არის.

– ეს პატარა ამბავი არ არის, მაგრამ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ მმართველის კარზე ჯგუფური ინტრიგებით შედეგის მიღწევა ყოველთვის შეიძლება.

პარლამენტში სალომე ზურაბიშვილის სავარაუდო შემცვლელად ჯაბა ჯიშკარიანი სახელდება

საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა. მთაწმინდის ოლქში კი შუალედური არჩევნები აპრილის ბოლოს უნდა გაიმართოს. ერთ-ერთი ვერსიით, სავარაუდო კანდიდატად ჯაბა ჯიშკარიანი განიხილება.

– მგონია, რომ აუცილებლად უნდა იყოს ჩვენი გუნდის წარმომადგენელი, ცნობადი სახე იქნება თუ სხვა ნიშნებით გამორჩეული, მთლიანობაში, უნდა ემსახურებოდეს ერთ მთავარ მიზანს, რაც შეიძლება მეტი კომპეტენცია ჰქონდეს თავის საკითხებში და რაც შეიძლება ერთგული იყოს თავისი ქვეყნის და თუნდაც თავისი რაიონის. რატომაც არა, ჯაბა ჯიშკარიანიც, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

როგორც უმრავლესობის კიდევ ერთმა წევრმა, ნუკრი ქანთარიამ აღნიშნა, კანდიდატს საბოლოოდ კონსულტაციების შემდეგ დაასახელებენ.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

კონსტანტინე გამსახურდია: „ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება მთელ ქვეყანას სჭირდება“

ნათია ხურცილავა

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, უფროსი შვილი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიებაზე საუბრობს.

– რატომ ვერ მოხერხდა აქამდე ამ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა?

– საქართველოსნაირ ქვეყანაში, სადაც სამართალი ყოველთვის პოლიტიკისა და მმართველი პოლიტიკური ძალის მძევალია, ასეთი მნიშვნელოვანი საქმეების გამოძიება არ ხდება ცალსახა პოლიტიკური ნების გარეშე. სწორედ პოლიტიკური ნებაა ამ საქმის დღემდე გამოუძიებლობის თავიდათავი.

– არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონდა ეს პოლიტიკური ნება?

– სისტემა ერთი რჩებოდა და ის ადამიანებიც, რომლებიც ზედაპირზე არ ჩანან. ამას „დაფარული სახელმწიფო“ ჰქვია.

არადა, უმნიშვნელოვანესია, რომ სიმართლე გაირკვეს, დადგინდეს ერთხელ და საბოლოოდ, რეალურად რა მოხდა. ეს არის მნიშვნელოვანი ქვეყნის მომავლისთვის, თაობებისთვის, რა ბედი ეწია ქვეყნის პირველ პრეზიდენტს, ეს ხომ უნდა იცოდნენ მომავალმა თაობებმა.

– ძალიან მძიმე კითხვა უნდა დაგისვათ: თქვენ ერთი წუთითაც არ უშვებთ თვითმკვლელობის ვერსიას?

– თუ დაამტკიცებენ, რომ ეს იყო თვითმკვლელობა და ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა, მაშინ პრეტენზია არ მექნება. თუმცა, თქვენ იცით, რომ თვითმკვლელობის ვერსია, რომელიც ადრე იყო ოფიციალური ვერსია, დღეს უკვე აღარ არის.

– დროებითმა საგამოძიებო კომისიამ, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობდით, რა დასკვნა დადო?

– ჩვენ 370-გვერდიანი დოკუმენტი დავდეთ. მოსმენა-გამოკითხვები ჩავატარეთ. საკითხის კრიმინალისტური შესწავლა მოხდა, შემდეგ როსტოვის ექსპერტიზა ჩატარდა. ასევე, 2007 წელს იყო ექსჰუმაცია და როსტოვის ექსპერტიზის დასკვნა დაიდო, რომელიც მოვიპოვე. ეს დოკუმენტი გენერალმა ჩაიკამ გამომიგზავნა, რომელიც ვთარგმნეთ და აღნიშნულ მასალებს თან დავურთეთ.

ამ კომისიის მუშაობის შედეგად ორი რამ დადგინდა: პირველი, პროკურატურის მიერ ჩატარებული სამუშაოები 1994-2004 წლებში სრულიად არასაკმარისი და არადამაკმაყოფილებელი იყო. ეს იყო საქმის ჩაფარცხვისა და მიჩქმალვის კლასიკური მაგალითი. ეს იყო საგამოძიებო-სამუშაო პროცესის იმიტაცია.

მეორე, რაც დაადგინა ამ კომისიამ: ზვიად გამსახურდიას, მაღალი ალბათობით, კრიმინალისტური კვლევიდან გამომდინარე, ასევე ძირითად მოწმეთა მონაცემების შეჯერებით, თავი არ მოუკლავს. ის მოკლეს.

– ამ კომისიამ საქმის ფიგურანტები თუ დაკითხა?

– ეს იყო დროებითი კომისია, საგამოძიებო კომისიის სტატუსი არ მოგვცეს, ვიღაცებმა მაშინ მიხეილ სააკაშვილზე გავლენა მოახდინეს. ამიტომ ამ კომისიასთან თანამშრომლობის ვალდებულება არავის ჰქონდა. ეს იყო მხოლოდ კეთილი ნების საფუძველზე. ამდენად, საქმის ფიგურანტები, როგორ ფიქრობთ, საერთოდ გაგვეკარებოდნენ?! ცხადია, დაგვემალნენ.

– დღეს რა განცდა გაქვთ, ამ საქმეზე სიმართლე გაირკვევა?

– აუცილებლად უნდა დადგინდეს ჭეშმარიტება! სხვანაირად შეუძლებელია. გარწმუნებთ, დღემდე არის ყველა რესურსი, რომ ეს საქმე გამოიძიონ და მთავარ კითხვას პასუხი გაეცეს.

– თუმცა, ხომ ვიცით, რომ რაც უფრო ხანდაზმულია საქმე, გამოძიება მით უფრო შორდება რეალობას.

– დიახ, ეს ასეა ნამდვილად, მაგრამ, გარწმუნებთ, ჯერ კიდევ არის რესურსი.

– საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარე კობახიძემ განაცხადა, რომ წარდგება კანონპროექტი, რომელიც ვადის გახანგრძლივებას ითვალისწინებს.

– ამის ძალიან დიდი იმედი მაქვს. ჩვენ სწორედ ამ მოთხოვნით მივმართავთ ხელისუფლებას. იმედი მაქვს, ამ საკითხის მნიშვნელობა მათ კარგად ესმით და გაიგებენ, რომ ეს ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ლევან ნატროშვილი: „თამარ ჟვანია ცესკოს სხვა თავმჯდომარეებზე უკეთესი იყო“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ საარჩევნო პროგრამების ხელმძღვანელი ლევან ნატროშვილი პასუხობს.

– ლევან, პრეზიდენტმა გასული კვირის ბოლოს ცესკოს თავმჯდომარეობის სამი კანდიდატი წარადგინა. არ გამორიცხავენ, რომ კვლავ თამარ ჟვანიას კანდიდატურას დაუჭირონ მხარი. რა პოზიცია აქვს მესამე სექტორს?

– სამწუხაროდ, როდესაც პრეზიდენტთან იყო შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ არ ვესწრებოდით, რადგან ძალიან მცირე დროით ადრე შეგვატყობინეს. არც ვიყავი თბილისში. ამიტომ, კარგი იქნება, როდესაც ასეთ კონსულტაციებს მართავენ, გაცილებით ადრე გაგვაფრთხილონ ხოლმე.

რაც შეეხება კანდიდატურებს, მათთან დაკავშირებით ვერ გავაკეთებ კომენტარს, ჩვენ არ გვყოლია ჩვენი კანდიდატურა. საუბარი იყო გარკვეულ ადამიანებზე და ეს სამი კანდიდატი იქნა შერჩეული.

– თამარ ჟვანიას ოპოზიცია მკვეთრად აკრიტიკებს. თქვენ თუ გაქვთ შენიშვნები?

– შენიშვნები გვაქვს, რა თქმა უნდა. ჩვენს ანგარიშებშიც ბევრჯერ გაგვიკრიტიკებია ცესკოს მუშაობა, მათ შორის თამარ ჟვანიასიც. კი, გასაგებია, რომ ის არ არის ერთადერთი ადამიანი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს, ცესკო არის კოლეგიური ორგანო და იღებს გადაწყვეტილებებს უმრავლესობით, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში ჩვენ გვქონდა პრეტენზია ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობასთან. იყო როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მომენტები.

– როგორი თავმჯდომარე იყო თამარ ჟვანია?

– ვერ ვიტყვით, რომ თამარ ჟვანია იყო ყველაზე ცუდი ცესკოს თავმჯდომარე. ვფიქრობთ, მას ჰქონდა გარკვეული წარმატებები. რეალურად ჩვენი კანდიდატურა იყო, არასამთავრობო ორგანიზაციების, როდესაც იგი დაინიშნა ცესკოს თავმჯდომარედ. მაშინაც ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმ პრინციპით, რომ იგი იყო მიუკერძოებელი, არ ჰქონდა პოლიტიკურ პარტიებთან კავშირი და იყო პროფესიონალი.

„ზოგიერთ საკითხში მისგან მეტ გაბედულებას ველოდით“

ამ ხუთ წელს თუ შევაფასებთ, მთლიანობაში ჟვანიას ისეთი ნეგატიური არაფერი გაუკეთებია, რომ ვთქვა, ცუდი თავმჯდომარე იყო. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მისგან მოველოდით უფრო მეტ სითამამეს და მეტ სიმკვეთრეს საკუთარ გადაწყვეტილებებში. ზოგიერთ შემთხვევაში იყო საკითხები, როდესაც თამარისგან გვქონდა მოლოდინები, რომ სხვანაირ გადაწყვეტილებას მიიღებდა.

თუ ცესკოს წინა თავმჯდომარეებს შევხედავთ, უნდა ვთქვათ, რომ ჟვანია იყო ყველაზე კარგი, სხვებთან შედარებით, მაგრამ იყო გარკვეული საკითხები, სადაც ჩვენ გვქონდა კრიტიკა.

– კერძოდ, რომელ საკითხებში არ მოგეწონათ მისი პოზიცია?

– რამდენიმე საკითხი იყო, ძირითადად საუბარი იყო დაკომპლექტების წესზე, ადმინისტრაციების დაკომპლექტების პროცესზე. ყველა არჩევნებზე, რაც თამარ ჟვანია დაინიშნა, ეს პროცესი იყო პრობლემური და უკიდურესად პოლიტიზებული და რეალურად ჩვენ ვერ ვხედავდით, რომ ცესკოსა და მათ შორის თამარ ჟვანიას გადაედგათ ის ნაბიჯები, რომ ეს პრობლემა აღმოფხვრილიყო.

– არ იყო საამისოდ მზაობა?

– მათ არც კი წარმოუდგენიათ რაიმე საკანონმდებლო წინადადება. პრობლემის გადაჭრის გზები ან რაიმე მსგავსი ქმედება მათი მხრიდან არ ყოფილა.

ასევე სერიოზული პრობლემები იყო საარჩევნო დავების დროს და საარჩევნო კომისია არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდა, ისინი არ რეაგირებდნენ პოტენციურ დარღვევებზე და თავისთავად ცესკოს გარკვეული წვლილი მიუძღვის ამ საკითხებში.

მათ შორის ყველაზე გამორჩეული იყო პროპაგანდა-აგიტაციის შემთხვევები სოციალურ ქსელებში, როდესაც ცესკო საერთოდ არ აღიქვამდა ამას აგიტაციად და საერთოდ არ რეაგირებდა ასეთ დარღვევებზე. ამ კუთხითაც სასურველი იყო, რომ უფრო მეტი გაეკეთებინა მას და უფრო ეფექტური ყოფილიყო ცესკოს მუშაობა.

ბევრი არასასიამოვნო გადაწყვეტილება იყო, თუნდაც ბოლო რაც მახსენდება, მაგალითად, იყო ის, მეორე ტური რომ დაინიშნა ოთხშაბათ დღეს და ცესკოს ყველა წევრმა დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას მხარი.

– ხელისუფლების გავლენა იყო ცესკოს მუშაობაში?

– ცალსახად რთულია ამის თქმა, თუ ვისი გავლენა იყო. ჩვენ ასეთი პრეტენზია არასდროს წამოგვიყენებია თამარ ჟვანიასთვის, რომ ის მართული იყო, ან რაღაც მსგავსი. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ცესკო არის კოლეგიური ორგანო და გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით და ერთი და ორი ადამიანის ხმა არ წყვეტს იქ არაფერს.

შესაბამისად, რაც პრობლემური იყო ცესკოს მუშაობაში, ყველაფერს ვერ დავაბრალებთ ერთ ადამიანს. თუმცა ჟვანიას უფრო გაბედული ნაბიჯები რომ გადაედგა და უფრო თამამი ყოფილიყო, კარგი იქნებოდა.

– ამ სამი კანდიდატიდან ვის უჭერთ მხარს?

– ჩვენ არ გვყავს ჩვენი ფავორიტი კანდიდატი. თუ ვინ გახდება ახალი თავმჯდომარე, ამის შესახებ თავად ცესკო მიიღებს გადაწყვეტილებას. ცესკომ უნდა აირჩიოს ორი მესამედით. თუ ვერ იქნა არჩეული ამ სამი კანდიდატიდან ვერც ერთი, შემდეგ ეს პროცედურა უკვე პარლამენტში მიდის.

– პროგნოზები ასეთია, რომ კვლავ თამარ ჟვანია დარჩება. თქვენ რას იტყვით?

– არ ვიცი. პროგნოზებისგან თავს შევიკავებ. ეს ცესკოს გადასაწყვეტია. უბრალოდ, ცესკომ უნდა მიიღოს მხედველობაში რამდენიმე კრიტერიუმი: ერთი ის არის, რომ დიდი პროფესიონალიზმით უნდა იყოს გამორჩეული ის ადამიანი, რომელიც გახდება ცესკოს თავმჯდომარე. მეორე არის ის, რომ პოლიტიკურ პარტიებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული და უნდა ჰქონდეს სუფთა წარსული, შემჩნეული არ უნდა იყოს რაიმე დარღვევებში და ისეთ ქმედებებში, რომელიც ჩრდილს მიაყენებს მის რეპუტაციას. სწორედ ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა მიიღოს ცესკომ გადაწყვეტილება.

– თამარ ჟვანია ხელისუფლების ინტერესების გამტარებელიაო, ასე აცხადებს ოპოზიცია. რას იტყვით თქვენ? ამ ხუთი წლის განმავლობაში გამოიკვეთა ასეთი ფაქტები?

– დიახ, იყო გარკვეული გადაწყვეტილებები, რომლებიც მაფიქრებინებდა, რომ დიდი იყო გავლენა ხელისუფლების. შემადგენლობაც ისეთია, რომ 3 წევრს ამ 12-დან ნიშნავს მმართველი პარტია და იქ 6 წევრია, რომლებიც დანიშნული არიან პროფესიული ნიშნით. ისინი არ არიან კრიტიკულად განწყობილნი მმართველი პარტიის სურვილების მიმართ და, შესაბამისად, მათ აქვთ უმრავლესობა.

ყოფილა ისეთი გადაწყვეტილებები, როდესაც გარკვეული კითხვები გაჩნდა მათი ქმედებების მიმართ. თუმცა, ვიმეორებ, ეს არ ყოფილა კონკრეტულად ჟვანიას გადაწყვეტილებები და არც მხოლოდ მასზე უნდა მოხდეს ბრალის აკიდება.

– დიდია შენიშვნების სია. რამდენად ელოდებით, რომ ცესკო გაითვალისწინებს ამ ყველაფერს? ამ ეტაპზე ხედავთ მზაობას?

– სამწუხაროდ, არა, იმიტომ, რომ ეს პრობლემები, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ, არ არის ახალი. არჩევნებიდან არჩევნებამდე მეორდება მსგავსი პრობლემები და ვერ ვხედავთ განსაკუთრებულ ცვლილებას ამ მხრივ, ამიტომ არ გვაქვს დიდი იმედი, რომ გაითვალისწინებენ. თუმცა გვაქვს სურვილი, რომ ასეთი გარდატეხა მოხდეს როგორც ცესკოს დონეზე, ისე მმართველ გუნდში და შეიცვალოს საარჩევნო კანონმდებლობა.

„გადმოდი ქალების მხარეს“ — „ქალთა მოძრაობა“ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად დიმიტრი გაბუნიას დანიშვნას აპროტესტებს

„გადმოდი ქალების მხარეს“ – ამ ლოზუნგით „ქალთა მოძრაობის“ წევრებმა ათონელის საპრეზიდენტო რეზიდენციასთან პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის თანამდებობაზე დიმიტრი გაბუნიას დანიშვნა გააპროტესტეს.

„ქალთა მოძრაობამ“ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრა მოითხოვა.

„ქალთა მოძრაობის“ დამფუძნებლის, ბაია პატარაიას განმარტებით, ისინი გაბუნიას მისი ადვოკატობის დროს გაკეთებული განცხადების გამო უპირისპირდებიან, რომლითაც მან, პატარაიას შეფასებით, სექსუალური ძალადობა ნორმად მიიჩნია. საქმე ეხება სექსუალურ შევიწროებაში ბრალდებული ზვიად დევდარიანის საქმეს, რომლის ინტერესებს დიმიტრი გაბუნია იცავდა.

– ჩვენ არ გვინდა, რომ რომელიმე მაღალ თანამდებობას იკავებდნენ ადამიანები, რომლებსაც სექსუალურ შევიწროებასთან ასეთი დამოკიდებულება აქვთ, – განაცხადა პატარაიამ.

აქციის მონაწილეებმა ათონელის რეზიდენციასთან წითელი ლენტი დაამაგრეს წარწერით: „გადმოდი ქალების მხარეს“.

ცნობისთვის, 2018 წლის დეკემბრის დასაწყისში „ქალთა მოძრაობისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს მიმართა და მოუწოდა, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნად დიმიტრი გაბუნიას კანდიდატურის განხილვის გადაწყვეტილებას გადახედოს.

მედიანიუსი

„კალაძე თბილისის მერიაში შესვლასაც ფასიანს გახდის“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „არჩევნების მოგებისთანავე ხელისუფლება შეგნებულად შეუდგა ხალხის მიზანმიმართულ გაღატაკებას“

შორენა მარსაგიშვილი

რა გეგმა აქვთ საპარლამენტო არჩევნებისთვის, რაზე მეტყველებს ხელისუფლების განცხადებები, რა უნდა გააკეთოს ხალხმა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

– არჩევნების წინ ხელისუფლება თავმოკატუნებული იყო და ხალხს ვითარების გამოსწორებას ჰპირდებოდა, არჩევნების შემდეგ კი რადიკალურად შეცვალეს პოლიტიკა. კახა კალაძემ ტაქსებით მგზავრობის გაძვირებაც კი მოითხოვა. გვეკაიფებიან თუ რა ხდება?

– ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა კალაძე ანტისახალხო ინიციატივებით გამოდის. გამუდმებით გველაპარაკებიან ევროპულ სტანდარტებზე, ამბობენ, რომ ევროპასთან შედარებით დაბალი ფასებია, ამ დროს ავიწყდებათ, რომ, ევროპული სტანდარტების მიხედვით, საქართველო მაჩანჩალა ქვეყანა გახდა. ყველა მიმართულებით მაჩანჩალები ვართ, მათ შორის კრიმინალის კუთხითაც.

კახა კალაძე ის ადამიანია, რომელიც ადამიანების 1.18 თეთრად გამოკვებას უჭერს მხარს. აი, ეს ადამიანი ამბობს იმას, რომ ტაქსი თურმე იაფია და მისი მომსახურება, როგორც ევროპაში, აქაც ძვირი უნდა იყოს.

ბატონ კახის თავისუფლად შეუძლია, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობაც გააძვიროს. ევროპის ქვეყნებთან შედარებით, აქ მგზავრობა უფრო იაფია.

თბილისის მერს სხვა რამეების გაკეთებაც შეუძლია, მაგალითად, თბილისის მერიასა და საკრებულოში მოქალაქეების შესვლა შეუძლია, ფასიანი გახადოს. ნამდვილად არ გამიკვირდება, თუ ამას გააკეთებს.

ბატონ კახის შეუძლია, ქუჩაში გამოსვლაზეც დაგვიწესოს გადასახადი. საერთოდ რომ ვარსებობთ, ამის გადასახადიც შეუძლია დაგვიწესოს.

დღევანდელ ხელისუფლებას ასეთი მიდგომა აქვს – ხალხის გაჭირვების ფონზე პირადი კეთილდღეობა უნდა მოიწყონ. უკვე მეშვიდე წელია, ამას ვუყურებთ. იმის ნაცვლად, რომ ხალხს შვება ეგრძნო, შვება სესიაშვილებმა, კალაძეებმა, გახარიებმა და ივანიშვილებმა იგრძნეს.

– ხალხის გაჭირვება ახსენეთ და ამასთან დაკავშირებით ეკონომიკის მინისტრმა, რომელიც ცალკე მოვლენაა ქართულ პოლიტიკაში, განაცხადა, ხალხს ეჩვენება, თორემ არ უჭირსო.

– ამ ადამიანზე ძალიან ძნელია საუბარი. საიდან მოიყვანეს, ვინ ურჩია მისი დანიშვნა, არ მესმის და ვერ ვხვდები.

თავად ხელისუფლებაც ვეღარ მალავს, რომ ადამიანებს უჭირთ. ისე უჭირთ, რომ ვალით ჭამენ საჭმელს და ზოგჯერ თვითმკვლელობამდეც კი მიდიან. ამ დროს გამოდის ეკონომიკის მინისტრი და ძალიან დალაგებული სახით გველაპარაკება, თურმე ხალხს კი არ უჭირს, არამედ ჰგონია, რომ უჭირს.

ეკონომიკის მინისტრის აზრით, ხალხს, უბრალოდ, ჰგონია, რომ ფული არა აქვს, თორემ აქვს, მაცივარს რომ გამოაღებენ და შიგნით არაფერი იქნება, ესეც მოჩვენებაა, სინამდვილეში მაცივარი სავსეა. არც პური გაძვირებულა, არც საკვები პროდუქტები და არც საწვავი.

– კალაძე, ეტყობა, ეკონომიკის მინისტრის გავლენის ქვეშ მოექცა, ტაქსით მგზავრობა იაფი მოეჩვენა და მისი გაძვირება მოითხოვა.

– რა თქმა უნდა, იაფია, აბა რა არის. ჩვენ გვეჩვენება, რომ ძვირია, თორემ ხელისუფლებისთვის ყველაფერი იაფია.

არჩევნების მოგებისთანავე ხელისუფლება შეგნებულად შეუდგა ხალხის მიზანმიმართულ გაღატაკებას. ცდილობენ, ხალხს რაც შეიძლება მეტი პრობლემა შეუქმნან, ხალხი კიდევ უფრო უნდა გააღარიბონ, რათა მომავალ არჩევნებზე მათი ყიდვა უფრო იოლი იყოს.

ადამიანი, რომელსაც უჭირს და შია, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ როგორმე პური მიიტანოს სახლში. მას მაღალი ფასეულობები აღარ აინტერესებს. არც ადამიანის უფლებებზე ფიქრობს და არც ინფრასტრუქტურული პროექტები აინტერესებს.

„ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ საქართველოს მოქალაქეები დააბეჩავოს. დაბეჩავებული ხალხი ბევრად უფრო მარტივი სამართავია.

– გამოუვათ ხალხის დაბეჩავება?

– არ გამოუვათ. ხალხის დაბეჩავება სხვა ხელისუფლებებმაც ცადეს. საქართველოს მოსახლეობამ ყველა ასეთ მცდელობას ღირსეული პასუხი გასცა. დიდი დრო არც ამ ხელისუფლებას უწერია.

– დარწმუნებული ხართ, რომ დიდი დღე არ უწერიათ?

– დარწმუნებული ვარ და ამ რწმენის საბაბს არჩევნების მეორე ტური მაძლევს. „ოცნების“ წინააღმდეგ 800.000-ზე მეტმა ადამიანმა მისცა ხმა. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა – საქართველოს ისტორიაში ოპოზიციას ამდენი ხმა არასდროს აუღია.

კალაძეს თავი მოაქვს იმით, რომ არჩეული მერია. მინდა შევახსენო, რომ ოპოზიციამ მასზე ბევრად მეტი ხმა აიღო თბილისში.

საზოგადოება გამოფხიზლდა და კარგად დაინახა, რომ ამათ ხელში ქვეყანა წინ არასდროს წავა, მიხვდნენ, რომ „ოცნება“ სახელმწიფოს ჭაობში ძირავს.

კრიმინალის მხრივ ვითარება საერთოდ კატასტროფულია. დღე ისე არ ჩაივლის, სადმე ყაჩაღობა, ძარცვა, მკვლელობა არ მოხდეს. არც „პერესტრელკები“ გვაკლია.

– ბოლო ხანებში „პერესტრელკები“ თბილისში ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

– უკვე აღარავის უკვირს, აღარ უკვირს, იმიტომ რომ „ოცნებამ“ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაგვაბრუნა. ის კაცი, რომელმაც კრიმინალის თარეში უნდა შეაჩეროს, ჰყავთ გაღმერთებული.

მათი ახალი ღმერთი გახარია პირდაპირ არის კრიმინალთან ბმაში. როგორ შეიძლება, სამართალდამცავები და ძველი ბიჭები ერთად ატარებდნენ არჩევნებს? სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ კრიმინალმა იმატა. ავტომანქანებიდან უკვე სარკეების მოხსნა დაიწყეს.

ქვეყანაში ჩვეულებრივი 90-იანი წლებია და ამ დროს, როგორც უკვე გითხარით, გახარია ჰყავთ გაღმერთებული. თურმე მისი მსგავსი მინისტრი არ ყოფილა. ამ გაღმერთებული მინისტრის კისერზეა ია კერზაიას გარდაცვალება. მას ჰქონდა სამეგრელო ჩაბარებული და მისი დავალებით გაათავისუფლეს ია კერზაია სკოლის დირექტორობიდან. დაიწყო ამ ქალის დევნა და ამ დევნამ შეიწირა კიდეც მისი სიცოცხლე.

ამის შემოქმედ კაცზე გვეუბნებიან, რომ ის არის არაჩვეულებრივი მინისტრი. მათთვის ქვეყანაში არსებული ვითარებაც ძალიან კარგია, მაგრამ რეალობა არის სულ სხვანაირი.

ხელისუფლება ხალხთან საერთოდ არ ლაპარაკობს, არც მისი აზრი აინტერესებს და არც მისი გაჭირვება.

– ეს იმის ბრალი ხომ არ არის, რომ ხალხი თავადაც არ იღებს ხმას? აბა გააგონოს ხალხმა ერთხელ თავისი ხმა, მერე ვნახავთ, თუ გაბედავენ ასეთ თავხედობას.

– საზოგადოება თავის სათქმელს ამბობს, მაგრამ „ოცნებას“ სმენა არა აქვს და ხალხის ხმა არ ესმის. სოციალური კუთხით ბოლო ხანებში არაერთი აქცია გაიმართა.

– არც ერთი ეს აქცია არ იყო მას შტაბური. ხელისუფლება პატარა აქციებს ყურადღებას არ აქცევს.

– „ქართული ოცნება“ დღეს იმ შეცდომებს უშვებს, რომლებსაც მისი წინამორბედები უშვებდნენ. ისინი ადამიანებს ითვლიან და ამბობენ, აქციაზე ცოტა ხალხი იყოო. მათ მთავარი არ ესმით, რომ პროტესტი, რომელმაც ადამიანები ქუჩაში გამოიყვანა, სხვასაც აწუხებს.

– აწუხებს, მაგრამ არ გამოდის.

– ქუჩაში ჯერ არ გამოდიან, მაგრამ ძალიან გაბრაზებული არიან. ერთ დღესაც თუ ხალხი ქუჩაში გამოვიდა, მაშინ ხელისუფლება დასრულდება.

ჩვენ უნდა გვესმოდეს ერთი რამ, რომ რევოლუციური ფონი და მიტინგები კარგი არ არის. ხელისუფლება საყოველთაო პროტესტამდე უნდა ხვდებოდეს, რომ მისი დრო დასრულდა,

კრიმინალი ისეთ დონეზეა, უკვე ხალხს გარეთ გამოსვლის ეშინია და ამაზე გვეუბნებიან, პატარა ხარვეზებიღა დარჩა და ამასაც გამოვასწორებთო. ეს იყო ივანიშვილის დაპირება, ერთი წელიც მაცალეთ და უკეთეს ქვეყანაში გაცხოვრებთო. ესაა უკეთესობა? სრული ქაოსია ქვეყანაში.

– იმ კაცმა თქვა, 1 წელი მაცალეთო. ჯერ იმ დაპირებიდან მხოლოდ 1 თვე გავიდა, იქნებ დარჩენილ 11 თვეში გამოასწოროს რამე.

– ამ 1 თვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთი წლის თავზე ქვეყანა კიდევ უფრო უარეს დღეში იქნება.

ამიტომ იყო ძალიან მნიშვნელოვანი საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვება. განა ოპოზიციამ ვერ გაიმარჯვა, ძალიან კარგადაც გაიმარჯვა, მაგრამ ხელისუფლებამ ბინძური მეთოდებით მიიღო მისთვის სასურველი შედეგი.

ეს „გამარჯვება“ ძალიან ძვირად დაუჯდება „ქართულ ოცნებას“ და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ამ ფარაში მონაწილეობდნენ.

აშკარაა, რომ ამ ხელისუფლებისგან კარგს არაფერს უნდა ველოდოთ, ამიტომ ოპოზიცია უნდა გადავიდეს აქტიურობაზე.

– აქტიურობაში რას გულისხმობთ?

– უნდა მოხდეს სრული მობილიზება და გამუდმებულ პრესინგში უნდა ვამყოფოთ ხელისუფლება. ჩვენ თუ არ ვიაქტიურეთ და „ოცნება“ თავის ნებაზე წავიდა, სულ დაანგრევენ ამ ქვეყანას.

ძალიან მნიშვნელოვანია, ახლა ოპოზიციამ სახელმწიფოებრივად იფიქროს და ხელისუფლებას არ მისცეს უფლება, იმ გადაცდომებზე წავიდნენ, რაზეც მიდიან.

ამ საქმეში ოპოზიციას ხალხის მხარდაჭერაც დასჭირდება. ჩვენ ერთად უნდა შევაჩეროთ კრიმინალი ხელისუფლება, რომელსაც, როცა უჭირს, ყველაფერზე შეუძლია წასვლა.

როგორც კი არჩევნების მოგება გაუჭირდათ, მაშინვე ყველაფერზე წავიდნენ. საპარლამენტო არჩევნების მოგება კიდევ უფრო გაუჭირდებათ და ბევრად უარესებს იკადრებენ.

ახლა საზოგადოების მაღალი ჩართულობაა მთავარი. ხალხის წინააღმდეგ ვერასდროს ვერავინ წავიდა და ვერც ახლა ნავა.

ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ ეს ქვეყანა არ ეკუთვნით მხოლოდ პოლიტიკოსებსა და არასამთავრობოებს. ეს ქვეყანა ეკუთვნის თითოეულ მოქალაქეს. ყველა მოქალაქე ვალდებულია, თავისი უფლებების დაცვისა და ქვეყნის განვითარებისთვის იბრძოლოს.

საქართველოს უკეთეს მომავალი ყველამ ერთად უნდა ავაშენოთ. ამას ცალკეული ადამიანები ვერ გააკეთებენ. ჩვენს გასაკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს. ამიტომ არის ხალხისა და ოპოზიციის ერთად დგომა მნიშვნელოვანი.

მიხეილ სააკაშვილი გიორგი გახარიაზე: „ესაა თვითონ სასწრაფოდ გალიაში ჩასასმელი, მეტი რომ არავინ დაკბინოს“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე შს მინისტრ გახარიას 21 დეკემბრის საპარლამენტო გამოსვლას ეხმაურება.

სააკაშვილი გახარიას დავით კირკიტაძის შესახებ გაკეთებული განცხადების გამო აკრიტიკებს.

– რუსეთიდან ჩამოყვანილი ცოფიანი ძაღლი. ესაა თვითონ სასწრაფოდ გალიაში ჩასასმელი, მეტი რომ არავინ დაკბინოს, – წერს სააკაშვილი.

ცნობისთვის: დათო კირკიტაძე სწორად „ჩავაგდეთ“ და სხვებსაც „ჩავაგდებთ“, ვინც ამას დაიმსახურებს, – განაცხადა პარლამენტში ოპოზიციის წარმომადგენლებთან სიტყვიერი კამათისას შს მინისტრმა.

მანამდე კი ნაციონალური მოძრაობის წევრმა თინა ბოკუჩავამ გახარიას უთხრა, რომ ახალქალაქში თავდასხმაში დამნაშავეებს ხელს აფარებენ, ხოლო დავით კირკიტაძე წინასწარი დაკავების იზოლატორში „ჩააგდეს“.

მედიანიუსი

სამხედრო ფიცში ცვლილება შედის

პარლამენტი სამხედრო ფიცის ტექსტის შესახებ ახალ დადგენილებას მიიღებს. სამხედრო სამსახურში გაწვეული პირები სამხედრო ფიცს ახალი რედაქციის ტექსტის მიხედვით დადებენ, რაც, თავის მხრივ, კონსტიტუციაში განხორციელებულ იმ ცვლილებას უკავშირდება, რომლის მიხედვით, ტერმინი „სამხედრო ძალები“ ტერმინ „თავდაცვის ძალებით“ შეიცვალა. ამასთან, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, სამხედრო სამსახურში გაწვეული პირი დებს სამხედრო ფიცს, ხოლო სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა შეიძლება როგორც თავდაცვის ძალებში, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და სპეციალურ პენიტენციარულ სამსახურში.

როგორც პარლამენტის დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, მიზანშეწონილია, ფიცის ტექსტში ტერმინი „შეიარაღებული ძალები“ შეიცვალოს სამხედრო სამსახურით.

სამხედრო სამსახურში გაწვეული პირები სამხედრო ფიცს შემდეგი ტექსტით დადებენ: „მე, საქართველოს მოქალაქე, შევდივარ სამხედრო სამსახურში და ვფიცავ: პირნათლად მოვიხადო ჩემი მხედრული ვალი საქართველოს წინაშე; კეთილსინდისიერად შევისწავლო სამხედრო საქმე, ღირსეულად განვაგრძო წინაპართა მხედრული ტრადიციები; მტკიცედ დავიცვა სამხედრო დისციპლინა, როგორც სახელმწიფოს ძლიერების საფუძველთა საფუძველი; შევინახო მონდობილი სამხედრო საიდუმლოება, შევასრულო სამხედრო წესდების ყველა მოთხოვნა და მეთაურის ბრძანება; მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისთვის. თუ ამ ფიცს გავტეხ, პასუხისმგებელი ვიქნები ღვთისა და ქვეყნის წინაშე. გვფარავდეს ღმერთი“.

ინტერპრესნიუსი

ხათუნა ლაგაზიძე: „გახარია „ოცნების“ ახალი იმიჯის, ძლიერი ხელის, მთავარი წარმომადგენელია“

იაგო ნაცვლიშვილი

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია 21 დეკემბერს პარლამენტში იმყოფებოდა და დეპუტატების კითხვებს უპასუხა. საკმაოდ არაორდინარული და ემოციური გამოდგა მისი გამოსვლა. მაგალითად, დავით კირკიტაძის საქმეზე ოპონენტების მხრიდან დასმული მწვავე კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ კირკიტაძე სწორად „ჩააგდეს“.

რატომ დასვა მინისტრმა ასეთი აქცენტები და რა ახალი პოლიტიკური ხაზი გველოდება მმართველ გუნდში? – ამის შესახებ „ახალ თაობასთან“ პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს:

– შს მინისტრი იმყოფებოდა პარლამენტში. საკმაოდ არაორდინარული და ემოციური გამოსვლა ჰქონდა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ გიორგი გახარიას პარლამენტში გაკეთებული განცხადებებიდან და სიახლე თუ გაიგეთ მისგან რომელიმე თემაზე?

– მთავარი სიახლე ის იყო, რომ ზოგადად „ოცნებამ“ და კონკრეტულად გახარიამ გააცნობიერა საზოგადოების ის მოთხოვნა, რომელიც ამომრჩევლის ნაწილს აქვს. ეს არის ძლიერი ხელის მოთხოვნა. ჩვენ ვიხილეთ, რომ მთელი მისი გამოსვლა, რიტორიკა, ინტონაცია, ტონალობა იყო სწორედ ამ ტიპის მკვეთრი ხაზის ქვეშ. მხედველობაში მაქვს საზოგადოების ერთი ნაწილის მოთხოვნა, განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ, როცა ის „ოცნებისგან“ რევანშს ითხოვდა ნაციონალურ მოძრაობაზე. საზოგადოების ამ ნაწილს ხელისუფლებამ შესთავაზა ახალი ხაზი, ძლიერი ხელის იმიჯი. მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება გახარიას სახით „ოცნების“ ერთ-ერთი გენერალური ხაზი 2020 წლის არჩევნებისთვის.

– აქედან გამომდინარე, რაღაც ავტორიტარულ თუ დიქტატორულ ელემენტებს ხომ არ უნდა ველოდოთ?

– საინტერესო და აქტუალური კითხვაა. ძლიერი ხელი მაინცდამაინც დიქტატურასა და ავტორიტარიზმს არ გულისხმობს, ანუ მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა ავტომატურად არ შეიძლება. ძლიერი ხელი, ერთი მხრივ, შეიძლება ნიშნავდეს უფრო მობილიზებულ სახელმწიფოს, უფრო ქმედით და ენერგიულ ხელისუფლებას, უფრო სწრაფ და მოქნილ პასუხს არსებულ გამოწვევებზე.

– შეკითხვას წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე ვსვამ. ხელისუფლებებს ხშირად უჭირთ ხოლმე შემდეგ თავის შეკავება, რომ დიქტატურისკენ არ წავიდნენ და ძალადობრივი, პოლიციური რეჟიმი არ შექმნან.

– უფრო ავტორიტარიზმისკენ ალბათ, დიქტატურა საქართველოსნაირ ქვეყნებში გამორიცხულია. აბსოლუტურად მესმის თქვენი შეკითხვის სულისკვეთება. ამის რისკი საქართველოსნაირ ქვეყნებში არსებობს.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ამომრჩეველმა „ქართულ ოცნებას“ მოკლევადიანი ნდობა გამოუცხადა. ეს არ ნიშნავს ორწლიან ინდულგენციას ან ორწლიან ნდობას. ამიტომაც ხელისუფლება ეძებს საზოგადოებასთან ურთიერთობის ახალ ფორმებს და ამ თვალსაზრისით გახარია ახალი ლიდერია მათ შორის, ვინც დღეს „ქართული ოცნების“ ზედაპირზე ჩანს და კარგად აუღო ალღო საზოგადოების განწყობასა და მოთხოვნებს, რაც, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის.

მეორე ტურის წინ „ქართულმა ოცნებამ“ მაქსიმალურად გააღვივა აგრესია საზოგადოებაში, რაც ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ დასარაზმად სჭირდებოდა. დამეთანხმებით, რომ ეს აგრესია არსად გამქრალა. სოციალური ქსელიც იძლევა ამის თქმის საფუძველს, თუ როგორი ტიპის შურისძიებას ითხოვენ, გვესმის საზოგადოების ზოგიერთი წევრის განცხადებები. ეს არის საშიში, რომ თავად საზოგადოებამ არ შეაგულიანოს ხელისუფლება ავტორიტარიზმისკენ.

– რას გულისხმობთ?

– მე მინდა, მაგალითად მოვიყვანო 2004-06 წლების პერიოდი, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლების ავტორიტარიზმს სწორედ გუნდრუკს უკმევდა და საფუძველს უქმნიდა საზოგადოებრივი განწყობა, რომელიც გააფთრებული ითხოვდა შევარდნაძის ხელისუფლების კორუმპირებული წარმომადგენლების დასჯას, ოღონდ არა სამართლისა და კანონის მოთხოვნების შესაბამისად. საზოგადოება ითხოვდა სისხლს, მსხვერპლს. ნაცმოძრაობამ ამ პირობებში კონტროლის ყველანაირი ჩარჩო დაკარგა, კანონის გარეთ გავიდა და რაც მივიღეთ, ეს ყველამ კარგად ვნახეთ და ჩვენს თავზე გამოვცადეთ.

დღესაც ეს ყველაფერი საზოგადოებაზე იქნება დამოკიდებული. თუ საზოგადოება სხვა გზას ვერ მონახავს ამ რევანშის პროცესში და გავეშებული მოითხოვს მსხვერპლს, რომელსაც ითხოვდა 2003 წლის ბოლოდან 2004-05 წლებში, მაშინ ხელისუფლებას გაუჭირდება, დარჩეს დემოკრატიულ ჩარჩოებში. თუ საზოგადოებამ ვერ მოთოკა მსხვერპლის მიღების ვნება, ეს ხელისუფლებისთვის ძალიან ცუდი სიგნალი იქნება და ეს რისკი, რა თქმა უნდა, არსებობს. მეორე თემაა, რომ თავად ხელისუფლებას უნდა ეყოს ამ დროს გონიერება და თავშეკავება. ვნახეთ, სადამდეც მივიდა 2004-05 წლებში პროცესი და თავად საზოგადოება იქცა იმ ხელისუფლების მსხვერპლად, რომლისგანაც ასეთი ხელისუფლება თავად გამოძერწა.

ამიტომ საზოგადოებასაც მართებს ამ მხრივ სიფხიზლე. პასუხისმგებლობა საზოგადოებამ უნდა იგრძნოს იმ პროცესებზე, რომლებიც შეიძლება განვითარდეს.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– ხელისუფლებაზე შეძახილი, რომ ის დასაჯე, ის ჩამოახრჩვე, ის პასუხისგებაში მიეცი. იმ პროცესებზე, რაც შეიძლება ამ მოუთოკავი აგრესიის გამო განვითარდეს, პასუხისმგებელი იქნება არა იმდენად ხელისუფლება, რამდენადაც საზოგადოება. ეს ხმამაღლა უნდა ითქვას.

– როცა აკაკი ზოიძეს პროპორციულ სისტემაზე გადასვლაზე ჰკითხეს, მან თქვა, რომ შეიძლება მოიგონ არჩევნები, მაგრამ მთავრობის შესაქმნელად არ იყოს საკმარისი, ნაცმოძრაობასთან ხომ არ შევალთ კოალიციაში, ამიტომ ჯერ გავასამართლოთო. 6 წლის შემდეგ რომ ახსენდებათ ეს, საზოგადოების სურვილებიდან ხომ არ გამომდინარეობს?

– მე იმას არ ვამბობ, რომ ვინმე პასუხისმგებლობას უნდა გაექცეს და დაემალოს, მაგრამ ეს არ უნდა გადაიქცეს მოუთოკავ და ყოვლისწამლეკავ ვნებად, როცა მტყუანსა და მართალს ვეღარ გაარჩევენ, ანუ ეს არ უნდა იყოს ისეთი ჟინი, რომელიც მთლიანად საზოგადოებას წალეკავს.

ვახსენე ძლიერი ხელის ხაზი და „ქართული ოცნებისგან“ ეს სრულიად რაციონალური არჩევანია. ის ვალდებულია, შეცვალოს ის იმიჯი, რომელიც მას ჰქონდა 6 წლის განმავლობაში.

ესეც საზოგადოების გემოვნების საკითხია.

ჰუმანური „ქართული ოცნება“ ქართველმა საზოგადოებამ ვერ და არ მიიღო. საზოგადოების მოთხოვნაა ძლიერი ხელი და „ოცნება“ ამის კვალდაკვალ მოქმედებს. ამ როლს ყველაზე კარგად გიორგი გახარია მოერგო. კრიტიკული, მკაცრი და როყიო გამოთქმებით ეს ორი წელი კობახიძეც გამოირჩეოდა, მაგრამ მისგან ძლიერი ხელი და საინტერესო პოლიტიკური ფიგურა კი არა, კარიკატურა მივიღეთ და ის იქცა ისეთ ფიგურად, რომელიც ყველაზე სწრაფად აკარგვინებს რეიტინგს „ქართულ ოცნებას“.

– გახარიას გამოსვლას მოჰყვა კრიტიკა, როდესაც მან კირკიტაძესა და ოპონენტებზე საუბრისას სიტყვა „ჩავაგდეთ“ გამოიყენა და ა.შ. ეს რამდენად გამართლებულია პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკური ლიდერისგან?

– მოჰყვებოდა. მე იმას ვამბობ, რომ არიან პოლიტიკოსები, რომლებიც ირგებენ ამ როლს და არიან ადამიანები, რომლებიც კომიკურ ფიგურებად იქცევიან.

გახარიას მიმართ კრიტიკული ნოტები იყო და ძალიან კარგი, რომ იყო. ეს სწორედ ის არის, რაც საზოგადოების სიფხიზლის დასტურია. ძლიერი ოპოზიცია ერთ-ერთი ბერკეტია იმისა, რომ ხელისუფლება დარჩეს დემოკრატიულ ჩარჩოებში. თუ საზოგადოება ვერ მოთოკავს თავის ვნებებს, ვიღაცა მაინც უნდა იყოს, ამ შემთხვევაში – ძლიერი ოპოზიცია, რომელიც პერიოდულად ხელისუფლებას რეალობასთან დააბრუნებს ხოლმე.

– ახსენეთ კობახიძის გაშარჟება, მაგრამ გახარიას ქმედებებშიც შეინიშნებოდა ამგვარი ელემენტები. მისი თვალის ჩაპაჭუნება და გაუთავებელი ბოდიშები ხშირად გამხდარა სოციალურ ქსელებში ხუმრობისა და შარჟის თემა. ამაზე რას იტყვით?

– ეს არ არის გაშარჟება. რასაც სოციალურ ქსელებში ვუყურებ, პირიქით უფროა. ასეთი პოპულარობით „ოცნების“ არც ერთ ლიდერს არ უსარგებლია, ერთადერთი კალაძე იყო „ქართული ოცნების“ დღემდე არსებულ ლიდერებს შორის. თუნდაც ვიზუალური კადრების დონეზე თუ გავიხსენებთ, რით შეიძლება, „ოცნება“ გვახსოვდეს: ერთი ეს იყო კალაძის კადრი თბილისის წყალდიდობის დროს, როდესაც დაღლილი სახით ტალახში იჯდა და მეორე ასეთი პოპულარული კადრი გახარიას თვალის ჩაკვრა გახდა.

– ალასანიასაც საკმაოდ მაღალი პოპულარობა ჰქონდა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ თავის დროზე.

– კი, მაგრამ ალასანია „ქართული ოცნების“ წევრი არასდროს ყოფილა. მე ამ შემთხვევაში პარტია „ქართულ ოცნებაზე“ ვსაუბრობ. ალასანიამ რამდენი შანსიც გაუშვა თავის ცხოვრებაში, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ყოფილი კოალიციის ლიდერების შედარებას აქ ვერ მოვიყვან, იმიტომ, რომ თავად „ოცნებაში“ იყო საინტერესო პროცესები. „ოცნების“ შიგნით ლიდერების შობა პრაქტიკულად შეუძლებელი და ლამის აკრძალული იყო. ამიტომაც ამ ორმა ფიგურამ მოახერხა „ოცნების“ შიგნით მეტ-ნაკლები პოპულარობის მოპოვება.

– ასეც შეიძლება გავიგოთ, რომ გახარია ყალიბდება „ოცნების“ ახალ ლიდერად?

– მე ასე ვიტყოდი, რომ გახარია „ოცნების“ ახალი იმიჯის მთავარი წარმომადგენელია და ამ იმიჯს ჰქვია ძლიერი ხელი და ძლიერი ხელისუფლება. რა გამოვა, ამ გადმოსახედიდან რთული სათქმელია.

– მომავალში პრემიერის პოსტზეც ხომ არ ხედავთ?

– ამის თქმა გამიჭირდება. ამ ეტაპზე „ოცნების“ გენერალურ ხაზში ყველაზე კარგად ეწერება, როგორც ძლიერი მინისტრი, ძლიერი ხელისუფლება.

რაც შეეხება პრემიერს, მამუკა ბახტაძე საკმაოდ საინტერესო მესიჯებითა და ინიციატივებით გამოირჩევა. სხვა თემაა, რამდენად სათანადოდ აშუქებს მას სახელისუფლებო პიარი. მე რატომღაც მგონია, რომ სახელისუფლებო პიარი დიდად არ ზრუნავს საკუთარი პრემიერის ინიციატივების საზოგადოებამდე მიტანაზე.

– რატომ? რით ხსნით ამას?

– არ ვიცი, ეს მათი შიდა სამზარეულოა. მე ვიცი ერთი რამე – ერთწლიანი საქმიანობის შეჯამებისას მან ორი ძალიან საინტერესო ინიციატივა გამოიტანა სამსჯავროზე.

ერთი არის ის, რომ მომავალი წლიდან ამოქმედდება სპეციალური საშეღავათო რეჟიმი მსოფლიოს ტექნოლოგიური და ინოვაციური კომპანიებისთვის, რათა მათ საქართველოში გადმოიტანონ თავიანთი წარმოება ან ფილიალები შექმნან. რეალურად, საქართველოში ტექნოლოგიური ჰაბის გასაკეთებლად ყალიბდება ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი. ეს ძალიან კარგი ინიციატივაა, ისევე, როგორც მეორე ინიციატივა, რომელიც ეხება იმას, რომ საქართველოში ამ ქვეყნის არსებობის ისტორიაში განათლებაზე პირველად დაიხარჯება მთლიანი შიდა პროდუქტის 10-11%, რაც განათლებაზე გამოყოფილი ხარჯების გასამმაგებას ნიშნავს.

ეს არის საეტაპო მნიშვნელობის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის. ამ მასშტაბის რეფორმა „ქართულ ოცნებას“ არ განუხორციელებია, რაც ახლა დაანონსდა.

„ქართული ოცნების“ 6-წლიანი მმართველობიდან გვაგონდება ვიზალიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან და თავისუფალი ვაჭრობა ჩინეთთან. ეს არის მისი საგარეო პოლიტიკური მონაგარი. შიდა პოლიტიკაში მასშტაბური რეფორმა არ გვახსოვს და განათლების დაანონსებული რეფორმა არის სწორედ ის, რაც შეიძლება „ქართული ოცნების“ სახელს დაუკავშირდეს. მაგრამ ამის გახმაურებაზე რატომღაც დიდად არავინ ზრუნავს.

„ქართულმა ოცნებამ“ უნდა იფიქროს რესურსების ოპტიმიზაციაზე. ამ შემთხვევაში ადამიანურ რესურსებს ვგულისხმობ. მას ჰყავს ადამიანური რესურსი, რომლის უკეთესად გამოყენებაც შეუძლია. ბევრი არა, მაგრამ მაინც ჰყავს. ადამიანური რესურსები საძებნია გარეთაც. როცა ივანიშვილმა საკადრო რეფორმა დააანონსა, მან თქვა, რომ ის შეცვლის მიდგომას, თქვა, რომ ერთგულების ნიშნით კი აღარ დაინიშნებიან, არამედ – პროფესიონალიზმის ნიშნით.

ეს, ფაქტობრივად, საკადრო რევოლუციის დაანონსებაა, თუ ხელისუფლება მას ამის საშუალებას მისცემს. მთავარია, ბიძინა ივანიშვილმა ძებნის არეალი გააფართოოს და ადამიანური რესურსების ძებნა პარტიის გარეთ დაიწყოს.

ნებისმიერ შემთხვევაში 2019-ში საინტერესო ძვრები გველოდება, რამდენად ეფექტური და მომგებიანი, ამას უახლოესი თვეები გვიჩვენებს.

ოკუპირებულ აფხაზეთში კორუმპირებული ჩინოსნებისთვის ქონების ჩამორთმევას მოითხოვენ

„ყველაფერი რუსეთიდან არ უნდა გადმოვიღოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

უკანონოდ გამდიდრებული კასტის მიმართ პროტესტი ოკუპირებულ აფხაზეთში ბევრჯერ გამოთქმულა. ბოლო საპარლამენტო არჩევნების წინ საზოგადოებამ დეპუტატებისათვის პრივილეგიების ჩამორთმევაც მოითხოვა, მაგრამ – უშედეგოდ.

მოხელეების თავაშვებულობა სულ უფრო თვალშისაცემი ხდება, განსაკუთრებით, მოსახლეობის გაღარიბებისა და ბიუჯეტში თანხების არარსებობის ფონზე.

სოციალური უთანასწორობით აფხაზეთი ისევე გამოირჩევა, როგორც დანარჩენი საქართველო.

რეფორმები, შტატების შემცირება, გამჭვირვალობა, კორუფციასთან ბრძოლა და ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება ის მოთხოვნებია, რომლებსაც ხაჯიმბას საოკუპაციო ადმინისტრაციისაგან საზოგადოება და პოლიტიკური ოპოზიცია მუდმივად მოითხოვენ.

სისტემური ცვლილებები და კორუფციაში გასვრილი ჩინოსნების წინააღმდეგ ზომების მიღება მოითხოვა ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა „საერთო საქმის“ ლიდერმა, პოლიტიკოსმა თენგიზ ჯოპუამ.

მისი შეფასებით, დაშლისა და გახრწნის პროცესში მყოფი ხელისუფლებისაგან რეფორმების ლოდინს აზრი არა აქვს. ძველ სისტემაში გარდაქმნები შეუძლებელია. ამისათვის აუცილებელია საზოგადოების ერთიანი პოზიცია რეფორმირების საჭიროებაზე, ასევე – ხალხის ნება და ხელისუფლების სისტემა.

ჯოპუა ამბობს, რომ ხელისუფლებამ უგულებელყო სამოქალაქო ინიციატივა კორუფციასთან ბრძოლის სფეროში. ამ წინადადებით, ქონება უნდა ჩამოერთვას იმ გამდიდრებულ მოხელეს, რომელიც მის წარმომავლობას ვერ დაასაბუთებს. ქონებრივი დეკლარაციები სავალდებულო უნდა გახდეს არა მარტო თანამდებობის პირების, არამედ, მათი ოჯახის წევრებისათვისაც.

იგი საჭიროდ მიიჩნევს მთავრობის ოპტიმიზაციასაც და აცხადებს, რომ პატარა აფხაზეთში ჩამოყალიბდა ბიუროკრატიული იმპერია. ბიუროკრატიის შენახვა ყოველწლიურად ჯდება 1 მილიარდი რუბლი, 1,5 მილიარდი იხარჯება ამ ფენის დაცვასა და უსაფრთხოებაში. პოლიტიკოსის აზრით, ხდება რუსული მოდელის გამეორება, რაც გაუმართლებელია. მას არასწორად და მოძველებულად მიაჩნია ყველა პრობლემის ადმინისტრაციული მეთოდებით გადაწყვეტა.

მოძრაობაში თვლიან, რომ აფხაზეთში დასამკვიდრებელია ისეთი პოლიტიკური მოდელი, რომელიც არ მისცემს საჯარო პირებს კანონზე მაღლა დგომის უფლებას. მოქმედი კონსტიტუცია მთავრობას ყველაფრის უფლებას აძლევს:

– ეს შეფარული მონარქიის კონსტიტუციაა, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას ყველაფრის უფლება აქვს და მას პასუხს ვერავინ სთხოვს. ის საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაზე მაღლაა.

თენგიზ ჯოპუა აცხადებს, რომ აფხაზეთში

მცხოვრები ბავშვები სასწავლებლად მსოფლიოს საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გაიგზავნონ.

– მხოლოდ რუსეთისაგან არ უნდა ვისწავლოთ. იმათი გამოცდილებაც გადმოვიღოთ, ვისგანაც რუსეთი სწავლობს, – აცხადებს ახალი მოძრაობის დამფუძნებელი.

ოკუპირებულ აფხაზეთში სულ უფრო მეტი პროტესტი გაისმის მოქმედი რეჟიმის მიმართ, ხანდახან რბილად აკრიტიკებენ „მარჩენალ“ რუსეთსაც. ხაჯიმბას ოპონენტები არ მალავენ, რომ მისი კორუმპირებული გარემოცვა რუსეთის ხელშეწყობით რუსული მოძველებული მეთოდებით მართავს გაღარიბებულ ხალხს.

როგორც ჩანს, რაულ ხაჯიმბა მომავალ „საპრეზიდენტო“ არჩევნებში სწორედ იმ უკანონოდ გამდიდრებულ და პრივილეგირებულ კასტას დაეყრდნობა, რომლის წინააღმდეგაც დანარჩენი მოსახლეობაა მობილიზებული.

სიღარიბის დაძლევის გზები — პრემიერის გეგმა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის გზებზე ქრონიკის ეთერში ისაუბრა. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს, ქვეყნის გარდამტეხ წარმატებაზე საუბარი შეუძლებელია.

მამუკა ბახტაძის განცხადებით, სწორედ ეს არის ხელისუფლების მთავარი ეკონომიკური გამოწვევა და რასაც მოჰყვა პოლიტიკის ცვლილებაც.

ბახტაძის განმარტებით, ის ეკონომიკური მოდელი, რომლითაც საქართველო თავისი ეკონომიკის განვითარებას ცდილობდა წარმატებული არ აღმოჩნდა იმაში, რომ მთავარი ეკონომიკური პრობლემა – სიღარიბე დაეძლია.

– მათ შორის ამ ეკონომიკური მოდელის სუსტი მხარე რომ დაგანახოთ, მარტივ სტატისტიკას გეტყვით: ჩვენ ჩავიბარეთ ეკონომიკა, რომელშიც საქართველოს ბიუჯეტის 50% ფორმირდება დაახლოებით 300 კომპანიის მიერ, საიდანაც ყოველი მეორე კომპანია ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ბიუჯეტის 50%, ფაქტიურად, დამოკიდებულია 150 ბიზნესორგანიზაციაზე. აქ აღარ მნიშვნელობა მემარცხენე ხარ თუ მემარჯვენე, სიღარიბის დაძლევა გადის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე. ეს სტატისტიკა არის კარგი ინდიკატორი იმის, რომ არსებული ეკონომიკური მოდელი არასწორი იყო, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, თუ ავიღებთ მაგალითად გადასახადების დონეს, ხშირ შემთხვევაში, მსხვილი კომპანიისთვის გადასახადის ტვირთი უფრო დაბალი იყო, ვიდრე მიკრო და მცირე მეწარმისთვის, რაც უკვე დაკორექტირდა.

ამავენ კონტექსტში, პრემიერმინისტრმა წინა ეკონომიკური მოდელის მახინჯ გამოვლინებად ჭარბვალიანობა დაასახელა.

მისივე განცხადებით, ბოლო მონაცემებით, სესხების განულების პროექტით ვალი 600.000-ზე მეტ მოქალაქეს ჩამოეწერა.

პრემიერ-მინისტრის განმარტებით, ეს ერთჯერადი სოციალური მხარდაჭერის აქტია, მაგრამ ამავე დროს „ეს არის ძალიან ძლიერი ნაბიჯი, გადადგმული მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, რათა საქართველოში სიღარიბის დაძლევის ტემპები გავზარდოთ“, – თქვა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ხელისუფლება ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად აქტიურად მუშაობს და ერთ-ერთი რეფორმა, რომელიც შემდეგ წელს გატარდება არის სასტარტო კაპიტალზე წვდომა.

ამ დროისთვის, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია 604 ათას 797 მსესხებლის, 1,302,750 სასესხო ჩანაწერის შესახებ, ჯამური დავალიანების თანხა 3,933,145,876 ლარია.

ვებგვერდზე ატვირთულია 38 საფინანსო ორგანიზაციიდან შეძენილი სესხები/კრედიტები.

კობა გვენეტაძე: „საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი გრძელვადიანად 3% იქნება“

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი გრძელვადიანად 3% იქნება.

ამის შესახებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ პარლამენტში რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, საქართველოს პარლამენტს მომავალი სამი წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტი წარუდგინა, რომელშიც ასახულია ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, მონეტარული პოლიტიკის ის ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებსაც ეროვნული ბანკი გამოიყენებს მიზნობრივი ინფლაციის მისაღწევად, და შესაძლო რისკების მიმოხილვა.

როგორც კობა გვენეტაძემ სხდომაზე აღნიშნა, ინფლაციის თარგეთირების პირობებში, ინფლაციის ოპტიმალური მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

– ეკონომიკისთვის დამაზიანებელია როგორც მაღალი ინფლაცია, ასევე დეფლაცია. ამასთან, განვითარებად ქვეყნებში ინფლაცია საშუალოდ უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, რაც ძირითადად, ქვეყნების პირველ ჯგუფში პროდუქტიულობის ზრდის უფრო მაღალი ტემპით აიხსნება. კერძოდ, განვითარებულ ქვეყნებში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლები საშუალოდ 1-2 პროცენტის, ხოლო განვითარებად ქვეყნებში კი 2-4 პროცენტის ფარგლებშია განსაზღვრული. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკურ ზრდასთან და ეროვნული ბანკის ინსტრუმენტების და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის განვითარებასთან ერთად, ეტაპობრივად იზრდება ეროვნული ბანკის შესაძლებლობები, რათა ინფლაცია ოპტიმალურ მაჩვენებელზე შეინარჩუნოს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკის განვითარების არსებულ ეტაპზე, 2018 წლიდან მიზნობრივი მაჩვენებელი 3%-მდე შემცირდა და შემდგომი წლების განმავლობაში საშუალოვადიანი პერიოდის მიზნობრივი მაჩვენებელი 3% იქნება. საშუალოვადიან პერიოდზე ხაზგასმას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ვინაიდან შოკები მუდმივად ხდება და ინფლაციაც თითქმის ყოველთვის განსხვავებული იქნება მიზნობრივი დონისგან: სხვადასხვა დროს მან შესაძლოა გადააჭარბოს, ან მიზნობრივი მაჩვენებლის ქვემოთ იყოს, თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში ის ყოველთვის მიზნობრივი მაჩვენებლისაკენ იმოძრავებს, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

IPN

თინა სტამბოლიშვილი: „საჭიროა, ბანკებს ჰქონდეთ ვალდებულება, პორტფელი სამ სადაზღვევო კომპანიაზე გადაანაწილონ“

სადაზღვევო სექტორის შემაფერხებელ ფაქტორებზე ისაუბრა ჯიპიაი ჰოლდინგის კომუნიკაციების დირექტორმა თინა სტამბოლიშვილმა გადაცემაში „კომერსანტზე სანდრო ვეფხვაძესთან ერთად“.

– ბაზარი, როგორც იცით, განვითარების ეტაპზეა, იგეგმება რეფორმები, რომლებიც ძალიან ბევრ ახალ მომსახურებას დანერგავს საქართველოში. თუმცა, დღეს არასაბანკო საფინანსო მომსახურება საქართველოში თითქმის არ არის განვითარებული. თუკი ეს ტენდენცია გაგრძელდება, ვგულისხმობ, რომ ერთი-ორი მსხვილი ბანკის ხელში თუ აღმოჩნდება ბაზრის ძირითადი ნაწილი, ეს გამოიწვევს სადაზღვევო სექტორის მიბმას საბანკო სექტორთან, რაც ცალსახად არ არის კარგი.

ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ ბანკებს უნდა აეკრძალოთ სადაზღვევო კომპანიების ფლობა, ვინაიდან ბანკი ჩვენი პროდუქტის გაყიდვის მნიშვნელოვანი არხია. ჩვენ მომხრე ვართ კეთილსინდისიერი კონკურენციის. საუკეთესო გამოსავალია სტრატეგიული თანამშრომლობა ბანკსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის. მაგალითად, ბანკებს აქვთ მათთან აფილირებული სადაზღვევო კომპანიის კლიენტების მთელი საფინანსო ინფორმაცია, ვხედავთ საშიშროებას, რომ ისინი ამ ინფორმაციას გამოიყენებენ არაკეთილსინდისიერად. გადაიბირებენ კლიენტებს.

ვფიქრობთ, საჭიროა, რომ ბანკებს ჰქონდეთ ვალდებულება პორტფელი სამ სადაზღვევო კომპანიაზე გადაანაწილონ. მეორეც, კონკურენციის კანონი უნდა გავრცელდეს მათზეც, ვიმეორებ, ბანკი მნიშვნელოვანი არხია სადაზღვევო კომპანიებისთვის, თუმცა ეს თანამშრომლობა არ უნდა იყოს ასიმეტრიული, რადგან, პირველ რიგში, დაიჩაგრება მომხმარებელი, – ამბობს თინა სტამბოლიშვილი.

კომერსანტი

არაფხიზელი მსესხებელი, შესაძლოა, ისევ ვირტუალურ „შავ სიაში“ მოხვდეს



ახლად შეწყალებულ მსესხებლებს გულისხმიერი ბანკირები ურჩევენ, საკრედიტო განაცხადისგან ჯერ თავი შეიკავონ, არც განვადების შეთავაზებით ისარგებლონ, რადგან ყოველი „დაუარებული“ განაცხადი სარეიტინგო ქულის დაკლებას ნიშნავს და – ისედაც ცუდი საკრედიტო ისტორიის გაუარესებას.

ეს რჩევა სანიმუშო მსესხებელსაც ეხება, რომელიც ვალდებულებას კეთილსინდისიერად ისტუმრებს და 1 დღის ვადაგადაცილებაც არ ჰქონია.

საკრედიტო ქულა იძლევა ვალდებულებების შეუსრულებლობის აღბათობის და გადაუხდელობის რისკის შეფასების საშუალებას. საკრედიტო ქულა გამოიხატება რიცხვებით და 0-დან 400-მდე მერყეობს. როგორც იცით, „კრედიტინფომ“ ცვლადები ახლახან განაახლა, რის მიხედვითაც ამ და სხვა მახასიათებლებით მსესხებლის რეიტინგი დგება.

საკრედიტო ისტორია არსებულ და დახურულ სესხებზე შეიცავს ინფორმაციას და საკრედიტო რეპორტის შემადგენელია. ასევეა გადახდების ისტორია და ვადაგადაცილებულ სესხებთან დაკავშირებული ინფორმაციაც. რეპორტი გარკვეულ პირად მონაცემებსაც შეიცავს. საკრედიტო რეპორტი გამოიყენება საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა საკრედიტო ორგანიზაციის (ყველა ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ონლაინმსესხებლების, სადისტრიბუციო კომპანიების, დეველოპერული კომპანიების, სადაზღვევო კომპანიების) მიერ.

ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც სარეიტინგო ქულას არ აკლებს, მხოლოდ საკუთარი საკრედიტო ისტორიის გადამოწმებაა კრედიტინფოს ბაზაში.

ასევე ყურადღებამისაქცევია ამა თუ იმ ბანკთან სასესხო ხელშეკრულების გაფორმებისას დაწყებული მსესხებლის მონიტორინგის დასრულება. ზოგჯერ ბანკის (ძირითადად, მიკროსაფინანსო ბაზრიდან საბანკო სექტორში გადასულ გამოუცდელ ბანკებს ეხება კრედო, ფინკა...) დაუდევრობის, ან მსესხებლის ნაკლებად მობილიზების გამო მონიტორინგი დაუსრულებელი რჩება, რაც ავტომატიზებული სისტემისთვის სესხის ან განვადების „დაუარების“ საფუძველი ხდება.

უმედოდან ნაკლებად საიმედოს ბაზაში გადასულ ვალგანულებულ მომხმარებელს საკრედიტო ისტორიის შექმნა დასჭირდება. რაც მეტია ქულა, მით მეტია ალბათობა რომ სესხს საუკეთესო პირობებით აიღებთ.

ამრიგად, საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარ საკრედიტო რეიტინგზე ზრუნვა. კრედიტინფოს საკრედიტო ქულა დაფუძნებულია იმ ინფორმაციაზე, რომელიც თქვენს საკრედიტო რეპორტშია მოცემული.

მაღალი საკრედიტო ქულის შენარჩუნებისთვის , რათა საკრედიტო პროფილი ნებისმიერი ორგანიზაციისთვის მიმზიდველად გამოიყურებოდეს, საჭიროა:

– დაიწყეთ საკუთარი საკრედიტო ისტორიის შექმნა – როგორც კი საკრედიტო რეპორტში ჩნდება თუნდაც ერთი სესხი, უკვე შესაძლებელია საკრედიტო ქულის გამოანგარიშება;

– აიღეთ სესხები -თუნდაც ძალიან მცირე, რომ შეიქმნას მინიმალური საკრედიტო ინფორმაცია;

– ეცადეთ, არ დაარღვიოთ გადახდის პირობები, ნებისმიერი ვადაგადაცილება მოხვდება საკრედიტო რეპორტში და ნეგატიურ გავლენას იქონიებს თქვენს საკრედიტო ქულასა და რეიტინგზე;

– არ დაუშვათ საკრედიტო რეპორტში 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მქონე სესხების არსებობა. გახსოვდეთ, ვადაგადაცილების შესახებ ინფორმაცია თქვენს რეპორტში სესხის დახურვიდან 5 წლის მანძილზე რჩება;

– დაიცავით თქვენი საკრედიტო ინფორმაცია. არ დაუშვათ მასში თქვენთვის უცნობი ჩანაწერების ან არასწორი ინფორმაციის არსებობა.

GBC

რა ჯდება ახალი წლის ღამის გატარება გუდაურისა და ბაკურიანის სასტუმროებში

ახალ წელს მთის კურორტებზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა, შესაბამისად, ჩვეულებრივ დღეებთან შედარებით, სასტუმროს ნომრის ფასებიც მაღალია.

როგორც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას ბაკურიანსა და გუდაურში მდებარე სასტუმროების მფლობელები აცხადებენ, საახალწლოდ ნომრების დაჯავშნა, ხშირ შემთხვევაში, აპრილიდანაც კი იწყება, ფასები კი, საშუალოდ, 100-დან 300 დოლარამდე მერყეობს.

მაგალითად, გუდაურში მდებარე სასტუმრო „გუდაურაში“ ახალი წლის ღამის გატარება 400-დან 600 ლარამდე ჯდება. თუმცა, როგორც სასტუმროს დირექტორი აცხადებს, ამ დროისთვის უკვე ყველა ნომერი დაჯავშნილია.

– ჩვენთან საახალწლო ფასები 400-დან 600 ლარამდე მერყეობს. ამავე ფასში შედის სპეციალური პროგრამა, რომელიც დატვირთულია უფრო ტრადიციული ქართული ცეკვებითა და სიმღერებით. თუმცა ნომრები უკვე სრულად დაჯავშნილია და ამ ეტაპზე, ადგილები აღარ გვაქვს, – განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ სასტუმრო „გუდაურას“ დირექტორმა ირაკლი კუტალიამ.

გუდაურში მდებარე კიდევ ერთ სასტუმრო „ქუადრუმში“ ახალი წლის ღამეს ნომრები 100-დან 300 დოლარამდე ღირს. თუ დამსვენებლებს საახალწლო პროგრამითაც სურთ სარგებლობა, ნომრის ფასს 30%-მდე დაემატება.

– ჩვენთან ფასები 100-დან 300 დოლარამდეა. 31 დეკემბრის ღამეს გვაქვს სპეციალური პროგრამა და ნომრის შესაბამის თანხას ემატება 25-30%. თუმცა ეს ნებაყოფლობითია, რადგან ზოგს სურს, რომ სასტუმროდან გავიდეს და სადმე სხვაგან შეხვდეს ახალ წელს. პროგრამაში შედის ვახშამი და დიჯეის მომსახურება.

თუ მანამდე რესტორნის გახსნაც მოვასწარით, უფრო საინტერესო პროგრამა გვექნება. ჩვენთან ნომრების დაჯავშნას წლის დასაწყისშივე, დაახლოებით, აპრილში იწყებენ, – აცხადებს სასტუმრო „ქუადრუმის“ ხელმძღვანელი ირაკლი ერისთავი.

რაც შეეხება ბაკურიანს, სასტუმრო „ვილა პალასის“ ფასები 350 ლარიდან იწყება. თუმცა საახალწლო პროგრამით სარგებლობის შემთხვევაში 50 დოლარი ემატება.

– ჩვენთან 2-ადგილიანი ნომრის ფასი 350 ლარიდან იწყება და 575 ლარამდე ადის. ასევე გვაქვს ფემილი რუმი, რომელიც საახალწლო პერიოდში 600 ლარი ღირს. სპეციალურად ამ დღისთვის გვაქვს შესაბამისი პროგრამაც, რომელიც დამატებით 50 დოლარი ღირს. გვეყოლება მოწვეული მომღერალი, მოცეკვავეები და გვექნება ბავშვებისთვის გასართობი პროგრამა. ამ ეტაპზე თავისუფალი მხოლოდ 2 ნომერია, – აცხადებენ სასტუმრო „ვილა პალასში“.

ბაკურიანში მდებარე კიდევ ერთ სასტუმრო „სნოუ პლაზაში“ ახალი წლის ღამეს 2-ადგილიანი ნომრის ფასი 190 დოლარია. როგორც სასტუმროში აცხადებენ, საახალწლო პროგრამაც ამავე ფასში შედის.

– 190 დოლარი ღირს 2 კაციანი ნომერი. ამაში შედის სამჯერადი კვება, აუზი, საუნა და ა.შ. ახალ წელს გვექნება სპეციალური შეთავაზება, რაც გულისხმობს ვახშამს, შესაბამის გასართობ პროგრამასა და ფეიერვერკს. ეს ნომრის ღირებულებაში შედის, თუმცა, თუ რამე განსხვავებულს მოითხოვენ, თანხა ემატება. ამ ეტაპზე ნომრების 70% უკვე დაჯავშნილია, – განუცხადეს „ბიზნესპრესნიუსს“ სასტუმრო „სნოუ პლაზაში“.

გევორქ სარქისიანის მკვლელობის საქმე გადაკვალიფიცირდა და ბრალი დამატებით 2 პირს წარედგინა

თბილისში, ელიას დასახლებაში სასტიკად მოკლული გევორქ სარქისიანის მკვლელობის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლიდან განსაკუთრებული სისასტიკით ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით გადაკვალიფიცირდა.

როგორც „ნიუპოსტს“ მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, ამავე მუხლით ბრალი წარედგინა დამატებით ორ პირს.

„გევორქ სარქისიანის მკვლელობის საქმეზე გამოძიების მიერ მოპოვებული დამატებითი მტკიცებულებების, მათ შორის 2018 წლის 14 დეკემბერს მიღებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პასუხების და მოწმეების დამატებითი გამოკითხვის საფუძველზე, ე. მ.-ს მიმართ ბრალი განზრახ მკვლელობის მუხლიდან განსაკუთრებული სისასტიკით ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლით გადაკვალიფიცირდა (საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 238' მუხლის მე-2 ნაწილით).



ასევე, ამავე მუხლით, ბრალი წარედგინა დამატებით ორ პირს, რ.კ.-ს და ს.მ.-ს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წლის 12 ივლისს ს.მ.-ს და ე.მ.-ს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ გევორქ სარქისიანთან. მათ მეგობარ რ.კ.-სთან ერთად დაგეგმეს სარქისიანის განზრახ მკვლელობა.

რ. კ.-მ, ე. მ.-მ და ს. მ.-მ წინასწარი შეთანხმებით, მოკვლის მიზნით, სამივე მათგანმა დანებით, განსაკუთრებული სისასტიკით, სხეულის სხვადასხვა არეში 19 ჭრილობა მიაყენეს გევორქ სარქისიანს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მიღებული დაზიანებების შედეგად სარქისიანი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

2018 წლის 12 ივლისს მომხდარი გევორქ სარქისიანის მკვლელობის საქმეზე გამოძიების პირველ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ე. მ.-ს განზრახ მკვლელობის მუხლით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი) წარედგინა ბრალი, ხოლო 4 პირის ბრალეულობა დანაშაულის შეუტყობინებლობის მუხლით დაკვალიფიცირდა“, – აცხადებან უწყებაში.

მკვლელობა 12 ივლისს ჟონეთის ქუჩაზე მოხდა.

გევორქ სარქისიანს 19 ჭრილობა ხანჯლით ჰქონდა მიყენებული.

„მსჯავრდებულმა ირაკლი ჩხეიძემ საპროცესო შეთანხმებაზე უარი განაცხადა“

მთავარი პროკურატურის ცნობით, ირაკლი ჩხეიძემ პროკურატურის მიერ შეთავაზებულ საპროცესო შეთანხმების პირობაზე უარი განაცხადა.

უწყებაში „ნიუპოსტთან“ განმარტეს, რომ ირაკლი ჩხეიძის მიმართ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში სისხლის სამართლის ორი სხვადასხვა საქმის განხილვა მიმდინარეობს.

„კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოში ირაკლი ჩხეიძის მიმართ არსებითად განიხილება სისხლის სამართლის საქმე, ავტომანქანის სარკეების ქურდობის მცდელობის ფაქტზე, (საქართველოს სსკ-ის 19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით).

ირაკლი ჩხეიძე 2015 წელს ბრალდებულად დანაშაულის ჩადენის ადგილზე დააკავეს, აღკვეთის ღონისძიების სახით კი შეფარდებული აქვს საპატიმრო გირაო 5.000 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოში კი მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის განხილვა ირაკლი ჩხეიძის მიერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტთან დაკავშირებით. თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2017 წლის 7 ნოემბრის განაჩენით, ამ საქმეზე ჩხეიძე დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

გამამტყუნებელი განაჩენი დაცვის მხარემ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას პროკურატურამ ირაკლი ჩხეიძეს შესთავაზა საქმეების გაერთიანება და საპროცესო შეთანხმების გაფორმება 3-წლიან რეალურ სასჯელზე და 3 წლით პირობით მსჯავრზე, თუმცა მან ამ პირობაზე უარი განაცხადა“, – აცხადებენ მთავარ საგამოძიებო ორგანოში.

ფულის გამოძალვა სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნების მუქარით

დააკავეს 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სექსუალური ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების მუქარით ჩადენილი გამოძალვისთვის თბილისში ერთი პირი დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული ზ.ს. გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ზ.ს. რამდენიმე თვის განმავლობაში ზ.პ.-ს დიდი ოდენობით თანხას სძალავდა, თანხის არგადაცემის შემთხვევაში კი ბრალდებული დაზარალებულს პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის, კერძოდ, მის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებით ემუქრებოდა.

გამოძიება გამოძალვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

ბინის ქურდობა წყნეთის გზატკეცილზე

დააკავეს 1 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული ბ.ფ. ქურდობის ბრალდებით თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე მდებარე ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელი ბინიდან დიდი ოდენობით ოქროს ნივთები და ძვირადღირებული საათები მოიპარა. სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლით მიმდინარეობს.

ფარცხანაყანებში მგელმა მურმან ციბაძე და კიდევ 4 ადამიანი დაკბინა

გასული კვირის ბოლოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანებში მგელმა 5 ადამიანი დაკბინა.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, შემთხვევა ორი ღამის განმავლობაში დაფიქსირდა. მგელმა სოფლის 4 მკვიდრი დაკბინა, მეორე დღეს კი ადგილობრივ მურმან ციბაძეს დაესხა თავს.

მისი თქმით, შემთხვევა იმ დროს მოხდა, როდესაც ბაზარში პროდუქტის წასაღებად ემზადებოდა.

– ბაზარში მიმქონდა პროდუქტი გასაყიდად, ამ დროს დავინახე, რომ ჩემი ძაღლი მგელს მიჰყავდა. თავიდან ძაღლი მეგონა, მივუახლოვდი და გამოვეკიდე, ძაღლი რომ გადამერჩინა, ამ დროს თავს დამესხა და მკლავზე მიკბინა, – განაცხადა მურმან ციბაძე.

დაზარალებულებს შესაბამისი აცრები ჩაუტარდათ.

ყაჩაღობა თბილისის ცენტრში

„ინექს გრუპიდან“ თანხა გაიტაცეს

გუშინ, 23 დეკემბერს, ყაჩაღობა მოხდა თბილისის ცენტრში. მძარცველმა თამარაშვილის 10 ნომერში მდებარე კომპანია „ინექს გრუპი“ დააყაჩაღა. თვითმხილველების ინფორმაციით, თავდამსხმელი შეიარაღებული იყო.

დაყაჩაღებისას შენობაში ორგანიზაციის 2 თანამშრომელი – მოლარე და ოპერატორი იმყოფებოდნენ. წაღებულია თანხის ნაწილი, თუმცა ზუსტი ოდენობა ამ დრომდე უცნობია.

– მოვედით და ვარკვევთ ახლა, რა მოხდა შიგნით. შიგნით იყო მოლარე და ოპერატორები. მიკროსაფინანსოა, მოგეხსენებათ, – აცხადებს კომპანიის ერთ-ერთი თანამშრომელი.

თვითმხილველების ინფორმაციით, დაყაჩაღების შემდეგ თავდამსხმელი მიიმალა.

ადგილზე მიმდინარეობდა საგამოძიებო მოქმედებები.

ხორავას ქუჩის საქმეზე არასრულწლოვანი გამოიკითხა

შინაგან საქმეთა სამინისტროში ხორავას ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვნების მკვლელობის საქმეზე გუშინ, 23 დეკემბერს, კიდევ ერთი არასრულწლოვანი გამოიკითხა.

მოზარდი შსს-ში მშობელთან ერთად იმყოფებოდა და მათ საგამოძიებო უწყება კომენტარის გარეშე დატოვეს.



შსს-ს ცნობით, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმიდან გამოყოფილ საქმეზე გამოძიება გრძელდება და ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის მიმდინარეობს მოწმეთა გამოკითხვის პროცესი.

ხორავას ქუჩაზე ორი მოზარდი 2017 წლის 1 დეკემბერს დაჭრეს. ერთი მოზარდი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, მეორე კი, ექიმების მცდელობისა და რამდენიმე ოპერაციის ჩატარების მიუხედავად, 2 დეკემბერს, საავადმყოფოში დაიღუპა.

ტყიბულში ჩხუბის დროს 26 წლის მამაკაცი არხში ჩავარდა

ინციდენტი მოხდა ტყიბულში – ორ ახალგაზრდას შორის მომხდარი სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შედეგად ერთ-ერთი მათგანი დაშავდა.



26 წლის მამაკაცი ტყიბულის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

გავრცელებული ინფორმაციით, ჩხუბის დროს ერთ-ერთი მათგანი წყალანირების არხში ჩავარდა და რკინის მავთულზე დაცემის შედეგად სხეულის მსუბუქი დაზიანებები მიიღო.

ექიმის ინფორმაციით, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია. მას სხეულზე ორ ადგილზე ნაკვეთი ჭრილობა აქვს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

პედიატრიულ პრივატ კლინიკაში 2 წლის გოგონა გარდაიცვალა

თემქაზე, პედიატრიულ პრივატ კლინიკაში გუშინ, 23 დეკემბერს, 2 წლის გოგონა გარდაიცვალა.

როგორც „2020 ნიუსს“ კლინიკაში განუცხადეს, პატარის გარდაცვალების მიზეზი ფილტვების ანთება გახდა.

– საავადმყოფოში ერთი კვირის წინ მძიმე მდგომარეობაში შემოიყვანეს. ფილტვებზე ჰქონდა პრობლემა. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ შევძელით. მძიმე ფილტვების ანთებით დაიღუპა, – განუცხადეს სააგენტოს კლინიკაში.

თბილისში, „ნიკორას“ ფილიალში, ხანძარი გაჩნდა

თბილისში, ლეონიძის ქუჩაზე, სუპერმარკეტ „ნიკორას“ ფილიალში ხანძარი გაჩნდა. ხანძრის შედეგად ჭერი, ჯამში, 20 კვ.მ. დაიწვა. დაშავებული არავინ არის. ადგილზე 3 სახანძრო-სამაშველო ეკიპაჟი მუშაობდა.

ავარია კარალეთთან

დაიღუპა 80 წლის მამაკაცი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთთან მომხდარ ავარიას 80 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა 22 დეკემბერს რესტორან „ნაჭარმაგევთან“ მოხდა.

თვითმხილველთა თქმით, მოხუცს „ოპელის“ მარკის ავტომობილი დაეჯახა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის 275-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს.

მეტრო, ისანთან, მანქანა 25 წლის მამაკაცს დაეჯახა

თბილისში, მეტროსადგურ „ისანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მსუბუქი ავტომობილი 25 წლამდე ახალგაზრდა მამაკაცს დაეჯახა.

დაშავებული ადგილზე გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, ავტომობილის მძღოლს ტერიტორია არ დაუტოვებია.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

პოროშენკომ კანონს რელიგიის შესახებ ხელი მოაწერა

უკრაინის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ავალდებულებს მოსკოვის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, სახელწოდება შეიცვალოს და იწოდებოდეს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიად უკრაინაში. ამას მსოფლიოს პატრიარქი ბართლომეუსიც ეთანხმება.

უკრაინის პარლამენტის სპიკერმა ანდრეი პარუბიმ კანონპროექტს ხელი მოაწერა. ასე მოიქცა პრეზიდენტი პეტრო პოროშენკოც.

– აღნიშნული კანონის შემდეგ უკრაინელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ უკრაინულ ეკლესიას ზურგს შეაქცევს, – აღიარებს პრორუსული ორიენტაციის უკრაინელი პოლიტოლოგი მიხეილ პოგრებინსკი.

როგორც ჩანს, მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებული უკრაინული ეკლესიის მეთაურებსაც ეს კარგად ესმით. ამიტომაც მიიღეს მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთი აგრესორია.

რუსეთმა ყირიმში 10 ავიაგამანადგურებელი გადაისროლა

ოდესის პორტში კიდევ ერთი ბრიტანული სამხედრო ხომალდი შევიდა. ამრიგად, დასავლეთმა კვლავ გააკეთა უკრაინისადმი მხარდაჭერის ჟესტი.

საპასუხოდ რუსებმა ყირიმში 10 ავიაგამანადგურებელი გადაისროლეს.

პრეზიდენტმა პუტინმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ყირიმის დასაცავად რუსეთი ყველა აუცილებელ ზომას მიიღებს.

– არ მესის, დასავლეთი უკრაინას მხარს რატომ უჭერს?! ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ რუსული ბაზარი მათთვის გაცილებით მომგებიანია? ვერ ხედავენ, რომ უკრაინის სახით ევროპის ცენტრში ნაცისტური სახელმწიფო იქმნება?! – აცხადებს პუტინი.

ამერიკაში შათდაუნი დასრულდა

სამი დღის წინ აშშ-ის სენატმა უარი განაცხადა, მიეღო პრეზიდენტ ტრამპის მიერ შემოთავაზებული ბიუჯეტი. შედეგად წარმოიქმნა „შათდაუნი," ღონისძიება, როცა ხელისუფლება იძულებულია, მთავრობის რიგი სტრუქტურების დაფინანსება შეაჩეროს. დემოკრატიულმა პარტიამ ტრამპის ემიგრაციულ პოლიტიკას, კერძოდ, მექსიკასთან კედლის აშენებას მხარი არ დაუჭირა.

შათდაუნი სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ 380.000-ს ადამიანს შეეხო. ამავე დროს, სტრუქტურები, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებაზე აგებენ პასუხს, ფუნქციონირებას განაგრძობდნენ.

ამასობაში ტრამპმა ხელი მოაწერა ქვეყნის დროებით ბიუჯეტს. ამრიგად, შათდაუნი დასრულდა. მთავრობის მუშაობა 8 თებერვლამდე აღდგება.

აშშ-ში ჩატარებული უკანასკნელი სოციოლოგიური კვლევების შედეგები ტრამპის სასარგებლო ნამდვილად არ არის. ამერიკელთა 58% მიიჩნევს, რომ ტრამპი სპეცპროკურორ მიულერის გამოძიებაში ჩარევას ცდილობდა, რომელიც ტრამპის საარჩევნო შტაბის რუსებთან კავშირის საქმეს იკვლევს.

ამერიკელთა 51% ფიქრობს, რომ თუ ტრამპის რუსებთან კავშირი დადასტურდა, მან პოსტი უნდა დატოვოს. 46% მიიჩნევს, რომ იმპიჩმენტი არ არის აუცილებელი, 47% ტრამპის მუშაობით უკმაყოფილოა, 41% მის მუშაობას პრეზიდენტის პოსტზე დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს.

ინდონეზიაში ცუნამის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 220-ს აჭარბებს

ინდონეზიის დასავლეთით, ზონდის სრუტეში წარმოქმნილი ცუნამის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 222-მდე გაიზარდა.

ამის შესახებ ქვეყნის სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის ეროვნულ სამმართველოში განაცხადეს.

მათივე ინფორმაციით, დაშავებულია 843 ადამიანი, 28 კი დაკარგულად მიიჩნევა. სამმართველოში მსხვერპლის რაოდენობის ზრდას არ გამორიცხავენ.

სტიქიის შედეგად ასობით სახლი და შენობაა დანგრეული. მიმდინარეობს დაზარალებულთა ევაკუაცია.

ცუნამი ინდონეზიის დასავლეთ სანაპიროს შაბათს, ღამით დაატყდა თავს.

თურქები და ბერძნები ერთმანეთს ემუქრებიან

თურქეთის თავდაცვის მინისტრმა საბერძნეთი პროვოკაციებში დაადანაშაულა. მან განაცხადა, რომ ოფიციალური ანკარა ამას ვერ მოითმენს.

– პროვოკაციებს ეგეოსის ზღვაში ჩვენ ვერ შევეგუებით, – ამბობს თურქი მინისტრი აკარი.

საბერძნეთის არმიის გენშტაბის უფროსი აპოსტოლაკისი თავის თურქ კოლეგას ვალში არ დარჩა. მან თურქეთი პროვოკაციაში აქეთ დაადანაშაულა და განაცხადა, რომ თურქები კვიპროსის მთავრობის მიერ საკუთარი ბუნებრივი რესურსების მოპოვების წინააღმდეგ გამოდიან.

– თურქები მას შემდეგ გათავხედდნენ, რაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელმა მიტჩელმა მათ ამერიკის ფანტასტიკური მოკავშირეები უწოდა, – აცხადებს ბერძენი გენერალი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სირიიდან გასვლის შემდეგ აშშ ერაყში ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლას განაგრძობს

ერაყის პრემიერ-მინისტრმა ადელ აბდელ მაჰდიმ და აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ სატელეფონო საუბრისას სირიიდან აშშ-ის ჯარების გამოყვანის ფონზე ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობა განიხილეს.

ერაყის პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში განაცხადეს, რომ საუბრისას მაიკ პომპეომ დაადასტურა, რომ აშშ განაგრძობს ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლას სირიიდან ჯარების გამოყვანის მიუხედავად.

მხარეებმა ასევე დაადასტურეს, რომ საჭიროა სირიის კრიზისის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაზეც უშუალოდ დამოკიდებულია უსაფრთხოება და სტაბილურობა ერაყში.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სირიიდან აშშ-ის ჯარების სრულად გაყვანის განკარგულება გასცა.

პრეზიდენტმა ტრამპმა „ტვიტერის" პირად გვერდზე ოთხშაბათს დაწერა, რომ შეერთებულმა შტატებმა სირიაში ტერორისტულ დაჯგუფება ისლამურ სახელმწიფოზე გამარჯვება მოიპოვა, რაც ერთადერთი მიზეზი იყო იმისა, თუ რატომ იმყოფებოდა იქ ამერიკის საჯარისო კონტინგენტი.

მალამო „მენტორი პირველი"

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი" გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ჯალეიდოსკოპი

ყოფილმა მოსწავლემ ყოფილ მასწავლებელს ცემისთვის სამაგიერო გადაუხადა

ჩინეთის ხენანის პროვინციის ქალაქ ლოიანში ყოფილი მოსწავლე მასწავლებელს, რომელმაც ის დაახლოებით 20 წლის წინ ცემა, თავს დაესხა.

30 წლის მამაკაცმა გააჩერა მასწავლებელი, რომელიც სკუტერით მგზავრობდა, მასთან მივიდა და ჰკითხა: „გახსოვარ?". ამის შემდეგ 20 წუთის განმავლობაში ასილაქებდა და ურტყამდა მას ლოყებსა და კეფაში. მასწავლებელს წინააღმდეგობა არ გაუწევია და მხოლოდ ბუტბუტებდა: „მაპატიე".

აღნიშნული შემთხვევა ვიდეოზე გადაიღეს და ჩინურ სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნეს. რამდენიმე დღის შემდეგ ვიდეორგოლის გმირმა ინტერნეტში განმარტა, რომ დაახლოებით 20 წლის წინ სკოლაში მასწავლებელმა სცემა. მან შენიშნა, რომ მოსწავლეს გაკვეთილზე ჩაეძინა, უბრძანა, მთელი კლასის თანდასწრებით მუხლებზე დამდგარიყო და ფეხი ათჯერ ჩასცხო თავში.

ნაცემმა მასწავლებელმა სირცხვილის გამო პოლიციას არ მიმართა. ამის მიუხედავად, პოლიციამ მასზე თავდამსხმელი ყოფილი მოსწავლე დააკავა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

რა თანხას მიიღებს საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გასვლისთვის

თუ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდება, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სოლიდურ ფულად პრემიას მიიღებს. ეს ამბავი მას შემდეგ გაირკვა, რაც უეფამ ევრო 2020-ის საპრიზო თანხების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.

შეგახსენებთ, რომ ტურნირი ევროპის 12 სხვადასხვა ქვეყანაში ჩაივლის, ნახევარფინალები და ფინალები კი ლონდონში გაიმართება.

ევრო 2020-ის ყველა მონაწილე 9.25 მილიონ ევროს მიიღებს. გამარჯვება საწყის ეტაპზე 1.5 მილიონ ევროდ შეფასდება, ფრე კი – 750.000 ევროდ.

მერვედფინალში გასვლა 2 მილიონი ევროა, ხოლო მეოთხედფინალში გასვლა 3.25 მილიონ ევროდ შეფასდება. ნახევარფინალისტები 5-5 მილიონ ევროს მიიღებენ, ვიცეჩემპიონი – 7 მილიონს, ხოლო გამარჯვებული – 10 მილიონს.

შესაბამისად, ნაკრები, რომელიც ყველა მატჩს მოიგებს, 34 მილიონ ევროს გამოიმუშავებს.

ევრო 2020-ის მატჩებს, ლონდონის გარდა, უმასპინძლებენ: სანკტ-პეტერბურგი, ამსტერდამი, ბაქო, ბილბაო, ბუქარესტი, ბუდაპეშტი, კოპენჰაგენი, დუბლინი, გლაზგო, მიუნხენი და რომი.

ქართულ ჭადრაკს ისევ გია გიორგაძე უხელმძღვანელებს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საარჩევნო ყრილობა გაიმართა. დელეგატებმა ჯერ ფედერაციის შესრულებული მუშაობის ანგარიში მოისმინეს და წესდებაში ცვლილებების შეტანა დაამტკიცეს.

ყრილობის ბოლო საკითხი ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები იყო. მოქმედი პრეზიდენტი გია გიორგაძე პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი გახლდათ და 67-მა დელეგატმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

ქართული ჭადრაკის მომავალ განვითარებაში გიორგაძეს დაეხმარებიან ვიცეპრეზიდენტები აკაკი იაშვილი (მსოფლიო საჭადრაკო ორგანიზაციის ფიდე-ს ვიცეპრეზიდენტი), ვალერი გაფრინდაშვილი და ზურაბ მიქაძე, ხოლო გენერალური მდივანი სოფიო გვეტაძე იქნება.

აღსანიშნავია, რომ გია გიორგაძე ფედერაციის პრეზიდენტად მეოთხე ვადით აირჩიეს.

ბაიერნი და რიბერი ფორმაში შედიან



ბოლო დროს მიუნხენის ბაიერნი თანდათან იბრუნებს ჩვეულ სათამაშო სტილს და ნელ-ნელა უახლოვდება სეზონის სტარტზე სოლიდური ჰანდიკაპით წინ გაჭრილ დორტმუნდს. ამ საქმეში დიდი წვლილი შეაქვს 35 წლის შემტევ ნახევარმცველ ფრანკ რიბერის, რომელიც კვლავაც ჩვეული შედეგიანობით გამოირჩევა.

გერმანიის ჩემპიონატის მე-17 ტურში, ფრანკფურტის აინტრახტთან გამართულ შეხვედრაში რიბერიმ დუბლის გაფორმება შეძლო. აღსანიშნავი ფაქტია, რომ „რეკორდმაისტერის“ ბოლო 6 მატჩში ფრანკმა 5 გოლის გატანა მოახერხა. 4 გოლი ბუნდესლიგაში, 1 – უეფას ჩემპიონთა ლიგაზე.

ფრანკ რიბერი:

– ბაიერნს ჰქონდა რთული დრო, მაგრამ ახლა ყველა ვხედავთ, რომ გუნდი გაცილებით კარგი გახდა. მოხარული ვარ აღნიშნულის გამო. თავდაუზოგავად ვმუშაობ და ვცდილობ არ ჩამოვრჩე. დაველოდოთ რა მოხდება შემდეგ სეზონში.

რიბერი ბავარიული კლუბის რიგებში შორეულ 2007 წელს ჩაირიცხა, მოქმედი კონტრაქტი კი 2019 წლის 30 ივნისამდეა გათვალისწინებული. გამოცდილმა ნახევარმცველმა, მიმდინარე საფეხბურთო სეზონში, გერმანიის ჩემპიონატის, თასისა და უეფას ჩემპიონთა ლიგის 21 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

წლის სპორტსმენი ლაშა ტალახაძეა

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ყველას დაასწრო და 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენი პირველმა დაასახელა.

„ივენთ ჰოლში“ შეკრებილმა სპორტულმა საზოგადოებამ, სეოკ-ის წლის შემაჯამებელი სესიის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა და მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაც მიიღო.

სეოკ-ის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ამჯერად გამარჯვებული გამოვლინდა კენჭისყრით, რომელშიც სესიის დელეგატები მონაწილეობდნენ.

ნომინანტთა სიაში შეყვანილი იყო სპორტის ოლიმპიურ სახეობებში 2018 წლის ყველაზე წარმატებული 4 სპორტსმენი: ნიკოლოზ ბასილაშვილი (ჩოგბურთი) – ჩინეთის ღია პირველობის გამარჯვებული; გურამ თუშიშვილი (ძიუდო, მძიმე წონა) – მსოფლიოს ჩემპიონი; გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, მძიმე წონა) – მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი; ლაშა ტალახაძე (ძალოსნობა, მძიმე წონა) – მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს 7 რეკორდის ავტორი.

კენჭისყრაში მონაწილეთა უმეტესი ხმები მიიღო ლაშა ტალახაძემ, რომელიც ზედიზედ მესამედ გახდა სეოკ-ის რჩეული. 2018 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენს ამ ნომინაციისთვის საგანგებოდ დამზადებული პრიზი – „ოლიმპიური ალი“ გადასცა სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა. სეოკ-ის გენერალური სპონსორის „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა კახა კიკნაველიძემ ტალახაძე სოლიდური ფულადი ჯილდოთი დაასაჩუქრა.

პარალელურად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის 2018 წლის საანგარიშო სესია გაიმართა. დელეგატთა შორის იყვნენ საქართველოს ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების, სეოკ-ის წევრი სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, სეოკ-ის აღმასკომის წევრები, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები.

სესიას ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, სეოკ-ის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, სხვა საპატიო სტუმრები.

სესიის დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ, დელეგატებმა პატივი მიაგეს 2018 წელს გარდაცვლილ სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა ხსოვნას.

ანანიძეც უკლუბოდ რჩება

რუსულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელი, შესაძლოა, უგუნდოდ დარჩეს. საუბარი ამჯერად ჯანო ანანიძეზეა.

როგორც რუსი ჟურნალისტები წერენ, ანანიძეს მალე მოსკოვის სპარტაკის დატოვება მოუწევს.

– ჩვენი ინფორმაციით, ქართველ ნახევარმცველს კლუბიდან პირადად დაურეკეს (ზოგიერთი მონაცემით, სპორტულმა დირექტორმა სერგეი როდიონოვმა) და ჯანო ძალიან უკმაყოფილო დარჩა საუბრის შედეგებით. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარმცველმა სპარტაკში 3 მატჩში მხოლოდ 43 წუთი ითამაშა, აშკარად არ ელოდა ასეთ სცენარს.

ამასთან, ასეთი ხელფასისა და ხანგრძლივვადიანი კონტრაქტის მქონე ფეხბურთელისთვის გუნდის მონახვა ადვილი არ იქნება. მეორე მხრივ, თადარიგში ძვირადღირებული მოთამაშის ყოლა, რომელიც იმედისმომცემიდან სტაბილურად ძირითად შემადგენლობაში მოთამაშის კატეგორიაში გადასვლას ვერ ახერხებს, ძალიან დიდი ფუფუნებაა. კლუბს მეტად რთული ამოცანის გადაჭრა მოუწევს, – წერს რუსული მედია.

ანანიძეს სპარტაკთან კონტრაქტი 2021 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული, მისი სეზონური გასამრჯელო 2 მილიონი ევროა და ალბათ, სულაც არ აწყობს გუნდის გამოცვლა. კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის შემთხვევაში, მოსკოვურ კლუბს მისთვის სერიოზული კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

ჰო, მანამდე კრასნოდარი დატოვა თორნიკე ოქრიაშვილმა. საუბარია შვეიცარიული ლუცერნიდან ვაკო გვილიას შესაძლო წასვლაზეც. ასე რომ, საქართველოს ნაკრების ნახევარდაცვის ძირითადი ბირთვი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს, შესაძლოა, უკლუბოდ შეხვდეს.

იურგენ კლოპი: „საჩემპიონოდ 105 ქულა უნდა გვეყოს“

მიუხედავად იმისა, რომ ლივერპული 4 ქულით გაექცა უახლოეს მდევარ მანჩესტერ სიტის, იურგენ კლოპი ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, მის გუნდს საჩემპიონოდ 105 ქულის მოგროვება დასჭირდეს.

კლოპის შეგირდებმა 18 ტურის შემდეგ 48 ქულას მოუყარეს თავი, ამგვარად, პირველი წრის ჩემპიონები დამსახურებულად გახდნენ. მიუხედავად ამისა, კლოპმა აღნიშნა, რომ კონკურენტები საკმაოდ ახლოს არიან, ამიტომ ლივერპულს მოუწევს ტემპის შენარჩუნება ტიტულის მოსაპოვებლად.

იურგენ კლოპი:

– ამ ეტაპისთვის ჩანს, რომ განსაკუთრებული სეზონი იქნება. 48 ქულა ახალ წლამდე სრული სიგიჟეა. თუმცა დანარჩენი გუნდები სიტი, ჩელსი, ტოტენჰემი, არსენალი, სავარაუდოდ, თავიან შეხვედრებს მოიგებენ და თითოეულ მათგანს 40 ან მეტი ქულა ექნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონობისთვის შესაძლოა 105 ქულის მოგროვებაც კი დაგვჭირდეს.

ვიცით, რომ კარგად გამოვიყურებით და შესანიშნავ ფორმაში ვართ, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დანარჩენი გუნდებიც მწყობრში არიან, ამიტომ უფლება არ გვაქვს, ზეიმი დავიწყოთ ან ზაფხულისთვის დავგეგმოთ. ამ ეტაპისთვის ყველაფერი ძალიან კარგად მიდის, ამიტომ აუცილებელია ნიუკასლთან მატჩისთვის ძალები მაღლევე აღვიდგინოთ.

როგორ რეჟიმში ემზადება ნიუკასლთან სათამაშოდ ლივერპული? შობის დილას იურგენ კლოპი ვარჯიშს ჩაატარებს, ნაშუადღევს ფეხბურთელებსა და პერსონალს შეეძლება, მცირე დრო ოჯახთან ერთად გაატაროს.

შედეგები

22 დეკემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიონატი

არსენალი-ბარნლი	3:1
სიტი-კრ.პალასი	2:3
კარდიფი-მანჩესტერი	1:5
ბორნმუთი-ბრაიტონი	2:0
ჩელსი-ლესტერი	0:1
ჰადერსფილდი-საუთჰემპტონი	1:3
ნიუკასლი-ფულემი	0:0
ვესტ ჰემი-უოტფორდი	0:2

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	18	15	3	0	39-7	48
2.სიტი	18	14	2	2	50-13	44
3.ტოტენჰემი	17	13	0	4	31-16	39
4.ჩელსი	18	11	4	3	35-15	37
5.არსენალი	18	11	4	3	40-24	37
6.მანჩესტერი	18	8	5	5	34-30	29
7.უოტფორდი	18	8	3	7	25-25	27
8.ბორნმუთი	18	8	2	8	27-28	26
9.ლესტერი	18	7	4	7	22-21	25
10.ვულვზი	18	7	4	7	19-21	25
11.ევერტონი	17	6	6	5	24-22	24
12.ვესტ ჰემი	18	7	3	8	25-27	24
13.ბრაიტონი	18	6	3	9	20-26	21
14.კრ.პალასი	18	5	3	10	17-25	18
15.ნიუკასლი	18	4	5	9	14-22	17
16.საუთჰემპტონი	18	3	6	9	19-33	15
17.კარდიფი	18	4	2	12	18-38	14
18.ბარნლი	18	3	3	12	16-36	12
19.ჰადერსფილდი	18	2	4	12	11-31	10
20.ფულემი	18	2	4	12	16-42	10

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბლექბერნი-ნორვიჩი	0:1
ბრენტფორდი-ბოლტონი	1:0
დერბი-ბრისტოლი	1:1
იფსვიჩი-შეფილდი	1:1
ნოტინგემი-ქარ	0:1
რედინგი-მიდლსბრო	0:1
როტერჰემი-ვესტ ბრომვიჩი	0:4
სტოკი-მილუოლი	1:0
უიგანი-ბირმინგემი	0:3
უენსდი-პრესტონი	1:0
ჰალი-სუონსი	3:2

ესპანეთი. ჰიმეჰა დივიზიონი

ბეტისი-ეიბარი	1:1
ატლეტიკო-ესპანიოლი	1:0
ბარსელონა-სელტა	2:0
ბილბაო-ვალიდოლიდი	1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	17	11	4	2	48-19	37
2.ატლეტიკო	17	9	7	1	25-12	34
3სევილია	16	9	4	3	29-16	31
4.რეალი	16	9	2	5	24-19	29
5.ალავესი	17	8	4	5	19-17	28
6.ბეტისი	17	7	5	5	20-19	26
7.ხეტაფე	17	6	7	4	18-13	25
8.ხირონა	17	5	7	5	18-20	22
9.ლევანტე	16	6	4	6	27-30	22
10.სელტა	17	5	6	6	28-26	21
11.ვალიადოლიდი	17	5	6	6	16-19	21
12.ეიბარი	17	5	6	6	21-25	21
13.ესპანიოლი	17	6	3	8	18-24	21
14.ვალენსია	16	3	10	3	13-13	19
15.სოსიედადი	17	5	4	8	18-20	19
16.ლეგანესი	16	4	6	6	15-19	18
17.ბილბაო	17	2	10	5	16-24	16
18.ვილიარეალი	16	3	6	7	17-21	15
19.რაიო	16	2	4	10	15-31	10
20.უესკა	16	1	5	10	14-32	8

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-ხიხონი	0:0
ოვიედო-მალაგა	0:0
სარაგოსა-ესტრემადურა	2:1

სარაგოსას მე-2 გოლი გიორგი პაპუნაშვილმა გაიტანა

ელჩე-ალმერია	2:2
კორდობა-ლას პალმასი	4:1
კადისი-დეპორტივო	3:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-ჰერტა	3:1
ჰანოვერი-ფორტუნა	0:1
ნიურნბერგი-ფრაიბურგი	0:1
ლაიპციგი-ვერდერი	3:2
შტუტგარტი-შალკე	1:3
აინტრახტი-ბაიერნი	0:3

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	17	13	3	1	44-18	42
2.ბაიერნი	17	11	3	3	36-18	36
3.გლადბახი	17	10	3	4	36-18	33
4.ლაიპციგი	17	9	4	4	31-17	31
5.აინტრახტი	17	8	3	6	34-23	27
6.ვოლფსბურგი	16	7	4	5	24-20	25
7.ჰოფენჰაიმი	16	6	6	4	31-22	24
8.ჰერტა	17	6	6	5	26-27	24
9.ლევერკუზენი	17	7	3	7	26-29	24
10.ვერდერი	17	6	4	7	28-29	22
11.ფრაიბურგი	17	5	6	6	21-25	21
12.მაინცი	16	5	5	6	16-21	20
13.შალკე	17	5	3	9	20-24	18
14.ფორტუნა	17	5	3	9	19-33	18
15.აუგსბურგი	16	3	6	7	23-26	15
16.შტუტგარტი	17	4	2	11	12-35	14
17.ჰანოვერი	17	2	5	10	17-35	11
18.ნიურნბერგი	17	2	5	10	14-38	11

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-ჰაიდენჰაიმი	1:2
ინგოლშტადი-რეგენსბურგი	1:2
ზ.პაული-მაგდებურგი	4:1

იტალია. სერია ა

ლაციო-კალიარი	3:1
ჯენოა-ატალანტა	3:1
მილანი-ფიორენტინა	0:1
ნაპოლი-სპალი	1:0
სასუოლო-ტორინო	1:1
უდინეზე-ფროზინონე	1:1
ემპოლი-სამპდორია	2:4
კიევო-ინტერი	1:1
პარმა-ბოლონია	0:0
იუვენტუსი-რომა	1:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	17	16	1	0	34-8	49
2.ნაპოლი	17	13	2	2	34-14	41
3.ინტერი	17	10	3	4	29-14	33
4.ლაციო	17	8	4	5	25-20	28
5.მილანი	17	7	6	4	24-19	27
6.სამპდორია	17	7	5	5	29-21	26
7.ფიორენტინა	17	6	7	4	25-17	25
8.სასუოლო	17	6	7	4	27-23	25
9.ატალანტა	17	7	3	7	31-23	24
10.რომა	17	6	6	5	29-23	24
11.ტორინო	17	5	8	4	20-18	23
12.პარმა	17	6	4	7	16-21	22
13.ჯენოა	17	5	4	8	25-34	19
14.კალიარი	17	3	8	6	16-23	17
15.ემპოლი	17	4	4	9	22-33	16
16.სპალი	17	4	4	9	14-25	16
17.უდინეზე	17	3	5	9	14-23	14
18.ბოლონია	17	2	7	8	13-24	13
19.ფროზინონე	17	1	6	10	12-36	9
20.კიევო	17	0	8	9	13-33	8

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

კრემონეზე-კარპი	1:2
ლივორნო-ვერონა	0:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

ანჟე-მარსელი	1:1
ლილი-ტულუზა	1:2
მონაკო-გენგამი	0:2
მონპელიე-ლიონი	1:1
პსჟ-ნანტი	1:0
რეიმსი-კაენი	2:2
რენი-ნიმი	4:0
სტ.ეტიენი-დიჟონი	3:0
სტრასბური-ნიცა	2:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	17	15	2	0	50-10	47
2.ლილი	19	10	4	5	29-19	34
3.ლიონი	18	9	5	4	30-21	32
4.მონპელიე	17	8	6	3	25-13	30
5.სტ.ეტიენი	18	8	6	4	28-22	30
6.მარსელი	17	8	3	6	30-26	27
7.სტრასბური	19	6	8	5	30-23	26
8.რენი	18	7	5	6	27-25	26
9.რეიმსი	19	6	8	5	15-18	26
10.ნიცა	18	7	5	6	13-17	26
11.ნიმი	18	6	5	7	26-28	23
12.ბორდო	16	5	6	5	19-19	21
13.ტულუზა	18	5	6	7	17-27	21
14.ნანტი	17	5	5	7	24-25	20
15.ანჟე	17	4	7	6	20-22	19
16.კაენი	19	3	9	7	19-25	18
17.ამიენი	17	5	1	11	16-30	16
18.დიჟონი	18	4	4	10	16-31	16
19.მონაკო	18	3	4	11	16-29	13
20.გენგამი	18	2	5	11	14-34	11

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-აიაჩო	1:2
სოშო-ლორიანი	1:0

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

სიტარდი-გრონინგენი	0:0
ბრედა-ჰერენვენი	4:2
პსვ-ალკმაარი	3:1
ექსელსიორი-ერაკლესი	0:3

პორტუგალია. ჰიმეიხა ლიგა

სეტუბალი-სანტა კლარა	0:2
ტონდელა-მარიტიმუ	2:1
ფეირენშე-პორტიმორენშე	0:1
ბელენენსეში-ავიში	5:2
მორეირენშე-ბოავიშტა	2:1

შოტლანდია. ჰემეიხლიგა

აბერდინი-ჰართსი	2:0
ჰამილტონი-კილმანროკი	1:1
მოზერველი-სტ.მირენი	0:1
სელტიკი-დანდი	3:0
ჰიბერნიანი-ლივინგსტონი	1:1

ბელგია. 1 დივიზიონი

მუსკრონი-ანდერლეხტი	3:1
ბევერენი-ლოკერენი	2:1
სტ.ტრუიდენი-კორტრაიკი	0:0
სტანდარდი-ოსტენდე	3:1

თურქეთი. სუპერლიგა

ანგარაგიუჯიუ-გიოზთეფე	0:3
ალანია-ბაშაქშეჰირი	1:1
ქაშიმფაშა-ბეშიქთაში	4:1

პოლონეთი. ექსტრაკლასი

კორონა-ლეგნიცა	0:0
ზაგლებიე-კრაკოვია	1:2
ლეხია-გურნიკი	4:0

მოამზადა მისეულ ყორეულიანმა

მამაკაცი სექსმარათონს შეეწირა



ნიგერიაში მამაკაცი თავის მეგობარ გოგონასთან სექსშეჯიბრების დროს გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ლაგოსის შტატის ერთ-ერთ სასტუმროში მოხდა. საშუალო ასაკის მამაკაცი, სახელად დეივი, გოგონას, სახელად ლოვეტს, დაენაძლევა იმაზე, თუ რომელი მათგანი უფრო დიდხანს შეძლებდა, შეუჩერებლად დაკავებულიყო სექსით. დეივმა ფსონად საკუთარ გამარჯვებაზე 50 ათასი ნიგერიული ნაირი დადო. ლოვეტი დათანხმდა და მათთვის სასტუმრო სახლი დაიქირავა.

მამაკაცმა ორგაზმს ექვსჯერ მიაღწია და მეშვიდეზე წავიდა, მაშინ როდესაც მისი პარტნიორი შეურყეველი იყო. რაღაც მომენტში დეივმა გონება დაკარგა და პარტნიორზე ზევიდან მყოფი გარდაიცვალა.

ლოვეტი მომხდარმა ძალიან შენიშნა და ყველაფერი სასტუმროს თანამშრომლებს უამბო. მათ გოგონა პოლიციაში მიიყვანეს. ამის შემდეგ სამართალდამცავებმა დეივის ცხედარი ექსპერტიზაზე გადაიტანეს, რომლის შედეგითაც გოგონას ბედი გაირკვევა.

ინდოეთში მორიგი ტურისტი გააუპატიურეს

ინდოეთის პოლიციამ დააპატიმრა 31 წლის მამაკაცი, რომელმაც ბრიტანელი ტურისტი ქალი გააუპატიურა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 48 წლის ქალი ადრე დილით ბრუნდებოდა სასტუმროში, რომელიც გოას შტატის პალოლემის პლაჟის მახლობლად მდებარეობს.

– დამნაშავე მას გზის უკაცრიელ მონაკვეთზე ელოდებოდა. მან ქალი მინდორში გადაათრია, გააუპატიურა და გაძარცვა, – განაცხადა მომხდარის თაობაზე პოლიციის ოფიცერმა რაჯენდრა დესაი.

მან ასევე დაამატა, რომ პოლიციამ უკვე დააკავა დანაშაულში ეჭვმიტანილი. ინდოეთის კანონების მიხედვით, მედიას მსხვერპლის ვინაობის გამხელის უფლება არ აქვს.

საერთაშორისო კვლევითი ფონდის ინფორმაციის თანახმად, ინდოეთს ლიდერის პოზიცია უკავია ქალების მიმართ არამეგობრული დამოკიდებულების მქონე ქვეყნების სიაში მათ მიმართ სექსუალური ძალადობისა და მონური ექსპლუატაციის გამო.

ამერიკაში თვითმფრინავი ფეხბურთის მოედანზე ჩამოვარდა

აშშ-ში მსუბუქმა თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. ის ჯორჯიის შტატში, ატლანტის პარკში მდებარე ფეხბურთის მოედანზე ჩამოვარდა. მასში მყოფი ოთხი ადამიანი დაიღუპა.

თვითმფრინავი ატლანტიდან მემფისში მიფრინავდა. კატასტროფის ადგილზე მეხანძრეებს მხოლოდ ნამსხვრევები დახვდათ. თვითმფრინავის ამოცნობა მხოლოდ გადარჩენილი კუდის ნაწილის მიხედვით მოხერხდა. მაშველების თქმით, სავარაუდოდ, ჩამოვარდნილი თვითმფრინავი მოედანზე გასრიალდა და დაიშალა.

ერთ-ერთი დაღუპული ჩინელი ვენ ჩენი აღმოჩნდა. ის თავისი ქვეყნის პირველი წარმომადგენელია, რომელმაც ერთძრავიანი თვითმფრინავით დედამიწის გარშემო იმოგზაურა. მან ეს გზა 69 დღეში გაიარა. გარდა ამისა, ჩენი კომპანია Sunshine Enterprise, Inc.-ს დამფუძნებელი და გენერალური დირექტორია, რომელიც ჩინური სამშენებლო და სამრეწველო მოწყობილობებით ვაჭრობს.

ავიაკატასტროფის სხვა მსხვერპლთა ვინაობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის, თუმცა, სავარაუდოდ, ისინი ჩენის კომპანიის თანამშრომლები არიან. ასევე დგინდება მომხდარის გარემოებები.

იაპონელმა მთელი წელი გარდაცვლილი მეუღლის გვერდით იცხოვრა

იაპონიის ფუკუოკას პრეფექტურაში 74 წლის პენსიონერი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში 2017 წლის ოქტომბერში გარდაცვლილ მეუღლეს არ მარხავდა.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ 74 წლის ოკუდა ესიხიდა ცხედრის გვერდით ცხოვრებას აგრძელებდა. იმისთვის, რომ სხეულის ხრწნის შედეგად გამოყოფილი სუნი შეემსუბუქებინა, მან ცხედრის გარშემო ჰაერის გამწმენდი არომატიზატორები დააყენა.

როდესაც მოხუცი იაპონელის სახლის აღება გადაწყდა, მან მეუღლის ცხედარი ადგილზე დატოვა და გაემგზავრა. ქალის ცხედარი მუშებმა აღმოაჩინეს, რომლებიც ნაგებობას ათვალიერებდნენ. მათ ამის შესახებ პოლიციას აცნობეს, რის შემდეგაც ესიხიდა დააპატიმრეს.

აღმოჩნდა, რომ სიცოცხლეში ქალს არ ჰქონია პირადობის დამადასტურებელი საბუთები. მას ქორწინება ოფიციალურად არ დაურეგისტრირებია და მეუღლის პენსიაზე ცხოვრობდა.

აღგზნებული სპილო პარკში შეიჭრა და მისი თანამშრომელი მოკლა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სპილო სათამაშო პარკში შეიჭრა და მისი ერთ-ერთი თანამშრომელი მოკლა.

მარკ ლოტენბახი მადიკვეს ბუნებრივ ნაკრძალში ზედამხედველად და გიდად მუშაობდა. ის შეეცადა, გაღიზიანებული ცხოველი პარკის ტერიტორიიდან, სადაც ტურისტები სეირნობდნენ, გაეძევებინა, შედეგად კი თავად აღმოჩნდა გარეული ცხოველის თავდასხმის მსხვერპლი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაახლოებით ექვსტონიანი ცხოველი აღგზნებული იყო. მის ორგანიზმში ტესტოსტერონის დონე 10-ჯერ აღემატებოდა ჩვეულებრივ მაჩვენებელს.

ნაკრძალის თანამშრომლებმა სამძიმარი გამოხატეს და აღნიშნეს, რომ ლოტენბახის დაღუპვა პარკისთვის დიდი დანაკარგია, ვინაიდან ის ერთ-ერთი საუკეთესო რეინჯერი იყო და მაღალი კვალიფიკაციითა და უდიდესი გამოცდილებით გამოირჩეოდა.

ბავშვების ტუალეტში შესვლამ მამა გაამდიდრა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის მცხოვრებმა ლატარიაში სოლიდური თანხა მოიგო და ამას საკუთარ შვილებს უმადლის, რომლებმაც ოჯახური მგზავრობის დროს ტუალეტში შესვლა სთხოვეს.

ქალაქ გასტონის მკვიდრი ტრევის პორჩი ბავშვებთან ერთად მანქანით ვირჯინიის შტატში საკურორტო ქალაქ ვირჯინია-ბიჩში გაემგზავრა, რათა საშობაო ზეიმს ოკეანის სანაპიროსთან შეხვედროდა. მგზავრობის დროს ბავშვებმა მამას ტუალეტში შესვლა სთხოვეს და მამაკაცი იძულებული გახდა, გზაზე შემხვედრ პირველივე მაღაზიასთან გაეჩერებინა მანქანა. სანამ ის ბავშვებს უცდიდა, გადაწყვიტა, ბედი ეცადა და ორი ცალი მომენტალური ლატარიის ბილეთი იყიდა.

პორჩმა პირველ ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და ნახა, რომ 15 დოლარი მოიგო, მეორე ბილეთმა კი მას ჯეკპოტი 150 ათასი დოლარი მოუტანა. მამაკაცმა საკუთარ თვალებს არ დაუჯერა და გამყიდველს სთხოვა იმის დადასტურება, რომ მართლაც ამხელა თანხა მოიგო.

პორჩი მოგებული თანხის ნაწილით იპოთეკის დაფარვას გეგმავს, ხოლო დანარჩენ თანხას სამომავლოდ გადადებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პატარძალი ქორწილის სტუმრის კაბამ გააცეცხლა

ავსტრალიაში პატარძალი ქორწილში მიწვეული სტუმრის კაბამ გააცეცხლა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ქალმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა მიმოწერა, რომელშიც მეგობართან მომავალ ზეიმზე მსჯელობდა. მიწვეულმა საპატარძლოს ცერემონიაზე დასასწრებად შერჩეული კაბების ორი ვარიანტი წარუდგინა და შესთავაზა, ერთ-ერთი მათგანი შეერჩია.

– თეთრ კაბაში ვერ მოხვალ, ასე რომ, იასამნისფერი უნდა ჩაიცვა, – განუცხადა საპატარძლომ.

ფეისბუქზე მიმოწერის გამოქვეყნების შემდეგ კომენტარების გამკეთებელთა აზრი გაიყო.

– ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი უპატივცემულობაა. მათ იციან, რომ, ტრადიციის თანახმად, ქორწილში თეთრი კაბის ჩაცმა არ შეიძლება, მაგრამ მათთვის სულ ერთია, ვინაიდან ისინი შენ პატივს არ გცემენ, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– ვერასოდეს გავიგებ მთელ ამ ატეხილ ხმაურს ქორწილში თეთრი კაბის გამო. ამასთან, კაბა ხომ ერთფეროვანი არ არის. მასზე ყვავილებია გამოსახული. ასე რომ, მე, მაგალითად, საკუთარ ქორწილში სულაც არ გავამახვილებდი ამაზე ყურადღებას, პირიქით, კარგიც კი იქნება და არ მესმის, პატარძლებს ეს რატომ არ ანერვიულებთ, – დაწერა მეორემ.

თუმცა უმრავლესობა იმაზე შეთანხმდა, რომ უმჯობესი იქნება, თუ ქორწილისთვის კაბის ყიდვამდე რჩევახ საპატარძლოსგან მიიღებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანვოხდი



1. ცხვრის ჯოგი; 2. ჩიტი (საბა); 3. მოყავისფრო კანფეტი; 4. შოტლანდიური ნაგაზი; 5. დასავლეთ სამოას დედაქალაქი; 6. ... გრუზინსკაია; 7. პატარა ტანის ცხენი; 8. ... ჩიმარო; 9. ტემპერატურის საზომი ერთეული; 10. სიგრძის საზომი ერთეული; 11. ლანგარი; 12. იაპონიის ფულის ერთეული; 13. ლითონის შესაკრავი ქამრისთვის; 14. სატელეფონო სიგნალი; 15. ჭრილობაზე დასადები სტერილური ბინტი; 16. უცხო ქვეყნის ფული; 17. ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი; 18. უმცირესი ორნიშნა რიცხვი; 19. ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი; 20. ვარსკვლავიერი მანძილების საზომი ერთეული; 21. ნიავი; 22. თონეში ჩავარდნილი პური; 23. სიტყვის ბოლოსართი, რომელიც აღწერას აღნიშნავს; 24. ლექსის ცალკეული ნაწილი; 25. თმის ვარცხნილობის სტილი; 26. სამხედრო სვლა მწყობრი ნაბიჯით; 27. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 28. მეკობრე (ძვ.) 29. ინდუიზმის ღვთაება; 30. ფრანგი კომიკოსი მსახიობი; 31. ინდოელი ქალის კაბა; 32. სანადირო ძაღლის ჯიში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კუბდარი; 2. ხოტი; 3. დუვრი; 4. პილონი; 6. ჩოქბჯენი; 9. კელარი; 13. პოპლიკა; 14. გაუტამა; 15. ჰენესი; 17. ურალი; 18. სკოტი; 20. არვე.

თარაზულად: 1. კახიანი; 5. პანჩი; 7. ბულიმია; 8. ბოტდეკი; 10. ეპოქა; 11. რანჩო; 12. ბულონი; 16. ხამონი; 17. უელსი; 19. პერო; 21. დელისი; 22. ფლინტი; 23. მითანა; 24. საუზმე.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ოპერეტა; 3. კლოუნადა; 4. აეროსტატი; 5. ბრიჯი; 6. ირბისი; 8. აგენტი; 11. კოლუმბი; 14 აბასთუმანი; 15. მისტრალი; 16. სტრაბიზმი; 17. ვადუცი; 19. არტეტია; 21. კარნო; 22. პირსი.

თარაზულად: 1. ჟოეკვარა; 5. ბონი; 7. სპაზმი; 9. რეკონვერსია; 10. ბუკლეტი; 12. ქსილიტი; 13. ატამანი; 16. სიბარიტი; 17. ვაცი; 18. იალტა; 20. მათუსალა; 22. პრადო; 23. პეტიცია; 24. ზვირთი; 25. ნეონი.

ასტროპროგნოზი 24 დეკემბრისათვის

ვერძი – მიზანი დაისახეთ და მის განხორციელებას შეუდექით. დაგეგმილი დასვენების გადადება მოგიწევთ. **კურო** – ეს დღე ოჯახის წევრებთან გაატარეთ. მდიდარი ფანტაზიის წყალობით მოულოდნელ დასკვნებს გააკეთებთ. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. ემოციები მაქსიმალურად აკონტროლეთ. **კირჩხიბი** – ახალი საქმის დაწყებამდე ძველი დაამთავრეთ. იფრთხილეთ ფინანსური ოპერაციებისას. **ლომი** – საკმაოდ რთული დღეა. შესაძლოა გეგმები შეგეცვალოთ. შეცდომებზე იფიქრეთ. **ქალწული** – კონფლიქტს თავი აარიდეთ. ნურავის მიენდობით. დიდია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობაც. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სულიერი ზრდისთვის. გაგიმახვილდებათ ინტუიცია. **ღრიანკალი** – წინააღმდეგობრივი, არასტანდარტული დღეა. ეჭვები უკუაგდეთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი საქმე გამოგდით. ნუ იქნებით უტაქტო. **თხის რქა** – თუ წინდახედულობას გამოიჩენთ, შანსი მოგეცემათ, ჩანაფიქრი განახორციელოთ. იყავით კორექტული. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. შესაძლოა შემოსავლის ახალ წყაროსაც მიაგნოთ. **თევზები** – აქტიური და დაძაბული დღეა. საქმეს შემოქმედებითად მიუდექით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ავთანდილ ცქვიტინიძე დემნა გვასალიას დაუპირისპირდა

დიზაინერი ავთანდილ ცქვიტინიძე ბალენსიაგას შემოქმედებით ხელმძღვანელსა და ვეტმენტსის დამაარსებელ დემნა გვასალიას დაუპირისპირდა და პლაგიატში დაადანაშაულა.

საუბარია დემნას მიერ შექმნილ ყვითელ კაბაზე, რომელიც მიშელ ობამას წიგნის პრეზენტაციაზე რამდენიმე დღის წინ ეცვა. ეს კაბა დემნას გაზაფხული-ზაფხული 2019 წლის კოლექციიდან არის და ჯერ გაყიდვაშიც არ გამოსულა. ავთანდილმა სოციალურ ქსელში გაავრცელა წითელი კაბის ფოტო, რომელიც მის მიერ 2017 წელს შექმნილი კოლექციიდან არის და დემნა პლაგიატში დაადანაშაულა.

ავთანდილი:

– ვინც ჩემთან ვერ მოასწარით ამ კაბის შეძენა 2017-ში, შეგიძლიათ, ბალენსიაგაში შეირბინოთ. ამ ზაფხულს მე ყვითლის გაკეთებას არ ვგეგმავ.

ლაშა ღლონტი: „ნამდვილი ქართული სიმღერა ოჯახებში ისმინება“

მომღერალ ლაშა ღლონტს ქართული ქალაქური სიმღერის პოპულარიზაციისთვის ახალი და საინტერესო იდეა აქვს:

– მაქვს კარგი იდეა. იქნებ განიხილოს ტურიზმის დეპარტამენტმა ან მერიამ. მოგეხსენებათ, ქართული ქალაქური სიმღერა და განსაკუთრებით ოჯახური სიმღერა უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში. არსად ოჯახებში ისე არ მღერიან, როგორც საქართველოში. იქნებ შეიქმნას და დაფინანსდეს რაიმე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც შევთავაზებთ ვიაიპი ტურისტებსა და ჩვენი ქვეყნის სტუმრებს ქართული სიმღერის, ასევე ღვინისა და სამზარეულოს პრეზენტაციას უშუალო გარემოში ქართული ოჯახებში. ეს ადამიანებიც დასაქმდებიან, ეკონომიკურადაც გაძლიერდებიან, მეტი ენთუზიაზმით შეაყვარებენ სტუმრებს ქართულ კულტურას. ნამდვილი ქართული სიმღერა ოჯახებში ისმინება.

ძალიან ბევრი ახალგაზრდა მღერის უკვე საკმაოდ კარგად და ჩვენ შეგვიძლია, ისინიც დავასაქმოთ, ანუ იმის თქმა მინდა, რომ ქართული სამზარეულო და სიმღერა, ასევე ქართული ღვინო შევთავაზოთ ოჯახურ გარემოში. ისევე, როგორც ნეაპოლიტანური სიმღერა ან ფლამენგო, ქართული ქალაქური სიმღერა მსოფლიო მემკვიდრეობაა და მისი პრეზენტაციისათვის რესტორნებზე უფრო ქართული ოჯახები მიმაჩნია მიზანშეწონილად.

თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნას ავთენტურობასა და ბუნებრიობაზე, არსებული კონცეფცია სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს. მსგავს მოდელს სულ მალე შემოგთავაზებთ ჩვენი ოჯახის მაგალითზე. ჩემს მოქალაქეობრივ ვალად მიმაჩნია, გვერდში დავუდგე ამ წამოწყებას და ვიცი, ძალიან ბევრი ჩემი კოლეგა დამიჭერს მხარს ამ საქმეში.

მაინტერესებს მოსახლეობის გამოხმაურება. დიდი მადლობა. მიყვარხართ! გაუმარჯოს ქართულ სიმღერას!

თითების თეატრი და შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე ბავშვები ერთობლივ სპექტაკლს გამართავენ



24 დეკემბერს მარჯანიშვილის თეატრში თითების თეატრი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ერთობლივ სპექტაკლს გამართავენ.

სპექტაკლს „კინო – თეატრში“ ეწოდება და მისი რეჟისორია ბესო კუპრეიშვილი. ის წარმოადგენს სინოფსისს. მცდელობა იყო პიესის, მაგრამ სინოფსისი დარჩა, რომელიც მწერალ ბასა ჯანიკაშვილს ეკუთვნის.

ამ სპექტაკლში მსახიობებთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებიც თამაშობენ. წარმოდგენაში თითქმის ერთსაათიანი ძალიან საინტერესო, მხიარული და ცოტა სევდიანი ამბავია მოთხრობილი.

ბესო კუპრეიშვილი, თითების თეატრის დამაარსებელი:

– „თითების თეატრი“, მსახიობები, ვიდეო ინსტალაცია, აუდიოგახმოვანება – ეს არის 3დე სპექტაკლი სათვალის გარეშე. ძალიან საინტერესო გამოვიდა. ასე რომ, გელით. 24-ში მარჯანიშვილში, დიდ სცენაზე. დასწრება უფასოა. წამოიყვანეთ ბავშვები.

პაატა ბურჭულაძე: „მლანძღეთ... თქვენგან ქება უფრო საწყენი იქნებოდა“

ოპერის მომღერალი პაატა ბურჭულაძე იური ტემირკანოვის საიუბილეო საღამოზე შესრულებული სიმღერისთვის ქართველმა საზოგადოებამ მწვავედ გააკრიტიკა. მსოფლიო ბანი ქართველებმა ვლადიმერ პუტინისთვის სიმღერაში დაადანაშაულეს. საქმე ის არის, რომ იური ტემირკანოვის 80 წლის იუბილეს რუსეთის პრეზიდენტიც ესწრებოდა.

პაატა ბურჭულაძემ ამ ფაქტთან დაკავშირებით განმარტება კიდევ ერთხელ გააკეთა:

– კიდევ ერთხელ მიწევს იური ტემირკანოვის 80 წლის საიუბილეო კონცერტზე ჩემს გამოსვლასთან დაკავშირებით საუბარი, რადგან „ოცნების“ ბანაკი ვერ წყნარდება. რა ქნან, გასაგებია, რომ ქვეყანას ვერ მართავენ და საჭიროა ყურადღების სხვა თემაზე გადატანა.

მინდა განვაცხადო, რომ მომავალშიც აუცილებლად ჩავალ ტემირკანოვის იუბილეზე, რადგან ის ნამდვილი კავკასიელი ყაბარდოელი ვაჟკაცია და ომის შემდეგ მთელი თავისი ორკესტრით ჩამოვიდა ჩვენთან და გვერდით დაგვიდგა. ამას ყველა ვერ გაიგებს და განსაკუთრებით – ივანიშვილის მთავრობა, რომლის ლიდერია ადამიანი, რომელმაც საკუთარ დედას სასამართლოში უჩივლა.

რა ვქნათ, დღეს ასეთი რეალობაა საქართველოში. ამიტომ მლანძღეთ და გადაიღეთ ჩემზე მრავალსერიიანი ფილმები. თქვენგან ქება უფრო საწყენი იქნებოდა.

ბათუმში ტერენტი გრანელის ბიუსტი დაიდგმება

პოეტ ტერენტი გრანელის სახელის უკვდავსაყოფად ბათუმის ცენტრალურ პარკში მისი ბიუსტი დაიდგმება.

ბათუმის საკრებულოში შექმნილი კომისიის წევრებმა უკვე ერთხმად დაუჭირეს მხარი ამ ინიციატივას და მისი განხილვა საკრებულოს მორიგ სხდომაზე მოხდება.

ტერენტი გრანელის ბიუსტის ინიციატორები კვირკველიების საგვარეულო კავშირი, ირაკლი პატარიძე და თემო ხასია არიან.

თემო ხასია:

– ეს არის მაგალითი, სახელმწიფოებრივი აზროვნების.

მადლობა ბათუმის საკრებულოს, უდიდესი მადლობა აგრეთვე კვირკველიების საგვარეულო კავშირს! ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ! ეს დიდებული საქმეა!

„მის საქართველო 2018“ ნინი გოგიჩაიშვილი გახდა

ტელეწამყვანი და მოდელი ნინი გოგიჩაიშვილი „მის საქართველო 2018“ გახდა. ჟიურიმ კონკურსანტებს შორის საუკეთესოდ სწორედ ნინი დაასახელა. ვიცე მის საქართველოს ტიტული კი თაკო ადამიას ერგო.

სამოდელო საგენტო „იმიჯ ცენტრმა“ სილამაზის კონკურსისთვის 20 რჩეული გოგონა საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან შეარჩია.

წელს კონკურსში მონაწილეობდნენ თაკო ხარაზიშვილი, თაკო ადამია, სალომე მხეცაძე, ნინუცა როსტიაშვილი, ნინი მუზაშვილი, ნინი ბურნაძე, ნინი ჯულაყიძე, ნინი გოგიჩაიშვილი, ნატალი გოგავა, ნატალი თოდაძე, ნანუკა ქაშიბაძე, მარეხი ახალაძე, ლიზი პაპასკირი, ლილე ლანჩავა, ლიკა ქობულაშვილი, ლანა გოგისვანიძე, ია სანაია, გვანცა ჩიტუაშვილი, დიანა მაიოროვა და დანცა ხაბეიშვილი.

ამირან შალიკაშვილის გარეშე პანტომიმის თეატრში პირველი პრემიერა გაიმართა

საქართველოში პანტომიმის ჟანრისა და თეატრის დამფუძნებელი ამირან შალიკაშვილი 79 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ პანტომიმის თეატრში პირველი პრემიერა გათამაშდა მაესტროს გარეშე.

თეატრის მსახიობმა სალომე ფილიშვილმა რეჟისურაში მოსინჯა საკუთარი ძალები და მაყურებელს სპექტაკლი „ანარეკლი“ შესთავაზა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სალომე ფილიშვილმა, გიგი ლორიამ და ირაკლი ბიბილურმა.

ეს არის სასიყვარულო სამკუთხედი, სადაც წარმატებულ მხატვარსა და ბალერინას ერთმანეთი უყვართ. მათ ხელს უშლის ბიზნესმენი, გალერეების მეპატრონე, რომელიც უზომოდ არის შეყვარებული ბალერინაზე და ამიტომაც ცდილობს, ყველა ხერხით წყვილი ერთმანეთს დააშოროს.

სპექტაკლი ამირან შალიკაშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

ვალერიან შიუკაშვილი: „გაუფრთხილდით და მოუარეთ ნინო ანანიაშვილს, პაატა ბურჭულაძეს, ლიანა ისაკაძეს...“

პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი საქართველოში ხელოვანებისთვის შეურაცხყოფის მიყენებას აპროტესტებს და საზოგადოებას მათ გაფრთხილებას სთხოვს:

– დღევანდელ დღეს საქართველოში თუ რამე დასაფასებელია, ერთ-ერთი არის ნინო ანანიაშვილის ხელოვნება და მისი უდიდესი ღვაწლი, რომელსაც მთელი მსოფლიო თვალს ადევნებს დღემდე...

მე მრცხვენია, რომ ჩემს ქვეყანაში ვერ აფასებენ და არ უფრთხილდებიან ადამიანებს, რომლებიც ფარავენ იმ სირცხვილს, რაც დღეს საქართველოში ხდება....

გაუფრთხილდით და მოუარეთ ნინო ანანიაშვილს, პაატა ბურჭულაძეს, ლიანა ისაკაძეს და კიდევ არცთუ ისე ბევრ გენიოსს...

გეყოთ მათ ხარჯზე თქვენი რეკლამის კეთება... უმადურობაა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

ტერეზა მეიმ დონალდ ტრამპისგან ძვირფასეულება არ მიიღო

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტერეზა მეიმ მისთვის აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და მისი მეუღლის მელანიას მიერ მირთმეული საჩუქარი არ მიიღო.

ტრამპების წყვილმა დიდ ბრიტანეთში მათი ვიზიტის დროს ქვეყნის ხელისუფლების მეთაურს მიართვა საჩუქარი – სამკაულები და ზარდახშა მათ შესანახად. ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ კერძოდ რომელი ძვირფასეულობა მიართვეს პრემიერ-მინისტრს, არ ვრცელდება, თუმცა ცნობილია, რომ ისინი 140 ფუნტზე ძვირი ღირდა.

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს კანონი, რომლის მიხედვითაც მისი უდიდებულესობის მთავრობის წევრებს უფლება ეძლევათ, ამ თანხაზე ნაკლები ღირებულების საჩუქარი მიიღონ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება 140 ფუნტ სტერლინგს გადააჭარბებს, საჩუქრის ადრესატმა ან უარი უნდა თქვას მის მიღებაზე, ან სრული საფასური უნდა გადაიხადოს. ტერეზა მეის განცხადებით, იმის გამო, რომ საჩუქრის ფასი საკმაოდ მაღალი იყო, ამჯობინა, მის მიღებაზე უარი ეთქვა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის სექტემბერში მეიმ საიუველირო ნაკეთობების დიზაინერ მირტი ფროზინისგან მისი ნამუშევარი მიიღო და, ვინაიდან მისი ფასი 140 ფუნტ სტერლინგს აღემატებოდა, დარჩენილი საფასური თავად აანაზღაურა.

დაკარგული ბეჭედი პატრონს 50 წლის შემდეგ დაუბრუნდა

ამერიკის ტეხასის შტატის მკვიდრ მოხუც ქალბატონს დაუბრუნეს ბეჭედი, რომელიც მან გასული საუკუნის 60-იან წლებში დაკარგა.

50 წელზე მეტი ხნის წინ ჯუდი ლავუას მეუღლემ ორი ერთნაირი ბეჭედი იყიდა: ერთი – თავისთვის, მეორე – მეუღლისთვის.

– მაშინ მეორე ბავშვზე ვიყავი ფეხმძიმედ და მან მომცა ბეჭედი, რათა ბიჭი დაბადებულიყო, – განმარტა მოხუცებულმა ქალბატონმა.

საჩუქარი კოლორადოს შტატში მგზავრობის დროს დაიკარგა. ლავუა მეუღლესთან ერთად თოვლში თამაშით ერთობოდა და ვერ შენიშნა, თუ როდის გასძვრა თითიდან ბეჭედი. მან დანაკარგი მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შენიშნა და აღარ ჰქონია იმედი, რომ ოდესმე იპოვიდნენ.

რამდენიმე დღის წინ კი მას დაუკავშირდა უცნობი პირი, რომელმაც უთხრა, რომ მისი მეუღლის ერთ-ერთი ნათესავი კოლორადოში ისვენებდა და იპოვა ბეჭედი, რომელზეც მისი სახელი ეწერა. მან ლავუას პოვნა ინტერნეტის დახმარებით შეძლო. მამაკაცი მას შეხვედრაზე შეუთანხმდა და ნაპოვნი ბეჭედი კანონიერ მფლობელს დაუბრუნა.

– ახლა უკვე ამ ბეჭედს იმ თითზე ვატარებ, რომლიდანაც აღარ მომძვრება, – განაცხადა ჯუდი ლავუამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პოლარულ კუნძულზე ბანკი გაძარცვეს

პოლარულ არქიპელაგ შპიცბერგენზე პირველად გაძარცვეს ბანკი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

ეჭვმიტანილი ნორვეგიის ქალაქ ლონგიირის ბანკის განყოფილებაში მივიდა და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ფული მოითხოვა. მან ნადავლთან ერთად მიმალვა მოახერხა, თუმცა ის მალე პოლიციამ დააკავა. სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, ის სხვა ქვეყნის მოქალაქეა.

ლონგიირი კუნძულ დასავლეთ შპიცბერგენზე, ჩრდილოეთის პოლუსიდან 1050 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. იქ დაახლოებით ორი ათასი ადამიანი ცხოვრობს და, ამასთან, მათი დიდი უმრავლესობა ერთმანეთს იცნობს. სხვა დასახლებულ პუნქტებში ჩასასვლელად კი ჩვეულებრივ ავიაციას იყენებენ.

სამგლოვიარო განცხადებები

ვიზიარებთ და თანავუგრძნობთ ღრმა მწუხარებაში მეუღლეს ლიანას, შვილებს ჯამბულსა და გიგას ძვირფასი, საყვარელი, კეთილშობილი, ჰუმანური მამის

ჯემალ გაბისონიას

გარდაცვალების გამო.

ნათესავები: კუსუნა და გოჩა მზარელუები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

24 დეკემბრისთვის

- აშშ დოლარი — 2.6627
- ევრო — 3.0405
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3720
- 100 რუსული რუბლი — 3.8939

ამინდის პროგნოზი 24 დეკემბრისთვის

25 დეკემბრიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

თავგადახოტრილმა მოდელმა პლეიბოისთვის გამართულ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა

ისტორიაში პირველად მოხდა, რომ სრულად თავგადახოტრილმა გოგონამ სურათები ჟურნალ პლეიბოისთვის გადაიღო.

23 წლის შვედი მოდელი ვენდელა ლინდბლომი, რომელიც სოციალურ ქსელებში საკუთარ თავს უწოდებს „სწორედ იმ მელოტ გოგონას“, ჟურნალ პლეიბოის თვის მეგობარი გახდა (მოდელი, რომლის ეროტიკული ფოტოსურათები და ასევე მოკლე ბიოგრაფია ცენტრალურ ადგილს იკავებს პლეიბოიში).

ლინდბლომმა აღიარა, რომ თმის მოშვება აღარ სურს, ვინაიდან გადახოტრილი თავი რწმენას მატებს.

– გულახდილად ვამბობ, მომბეზრდა, სხვებივით გამოვიყურებოდე. სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, დიდხანს ვიფიქრე. მესმის, რომ ყველას არ მოსწონს ჩემი გარეგნობა. მთავარია პოზიტიურად აზროვნება და თავდაჯერებულად სვლა საკუთარი მიზნისკენ, – განაცხადა შვედმა მოდელმა.

აღნიშნული ფოტოსურათები ჟურნალის იანვრის ნომერში გამოქვეყნდება.

მეგან მარკლმა მეუღლეს მოუწოდა, საშობაო ნადირობაში მონაწილეობა არ მიიღოს

მეგან მარკლმა თავის მეუღლე პრინც ჰარის სთხოვა, რომ მან უარი თქვას საშობაო ნადირობაში მონაწილეობაზე, რომელშიც ის 20 წლის განმავლობაში მუდმივად მონაწილეობდა.

აღსანიშნავია, რომ პრინც ჰარის მეუღლე ცხოველების უფლებების დამცველი და „სისხლიანი სპორტის“ მოწინააღმდეგეა.

ამავე დროს, ცნობილია, რომ პრინც ჰარის ძალიან მოსწონს ეს ტრადიცია.

– ის თითქმის არასოდეს ტოვებს ნადირობას, ვინაიდან ის ძალიან მოსწონს, – განუცხადა ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას ინფორმირებულმა წყარომ.

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ მეგან მარკლი მეუღლეს მოუწოდებს, გადახედოს საკუთარ დამოკიდებულებას ცხოველების მიმართ, კერძოდ კი, შეამციროს ხორცის მიღება.

ერთ დღეს ჩასახული ტყუპები 15 წლის სხვაობით დაიბადნენ

აშშ-ში ერთსა და იმავე დღეს ჩასახული სამი წყვილი ტყუპი 15 წლის სხვაობით დაიბადა.

ალექს და კურტ ჯონსონები, რომლებიც ტყუპებს შორის ყველაზე ასაკოვნები არიან, 15 წლის წინ დაიბადნენ, მათიას და ჯეიმს გარდნერები – ერთი წლის წინ, ხოლო დები ელიანა და ალისა ჰეფნერები – სულ რაღაც ექვსი თვის წინ. ამასთან, სამივე ტყუპი ერთმა და იმავე ადამიანებმა 2002 წელს ჩასახეს.

მათმა ბიოლოგიურმა დედამ, 53 წლის მერი ჯონსონმა, დაახლოებით 16 წლის წინ ხელოვნური განაყოფიერების პროცედურა გაიარა. სპეციალისტების დახმარებით მრავალი ემბრიონის მიღება გახდა შესაძლებელი. ორი მაშინვე ჩაუნერგეს, ხოლო კიდევ 12 გაყინეს სამომავლო შესაძლო ფეხმძიმობისთვის.

2009 წელს ექიმებმა ჯონსონი გააფრთხილეს, რომ ჯანმრთელობის პრობლემების გამო მისთვის მშობიარობა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ მან ემბრიონები ემბრიონული დონორობის ეროვნულ ცენტრს შესწირა იმ პირობით, რომ ბავშვების ნახვის შესაძლებლობა მიეცემოდა, როდესაც ისინი დაიბადებოდნენ.

სამივე ოჯახი ურთიერთობას არ წყვეტს და ერთმანეთს ფოტოსურათებს უგზავნიან. მომავალ წელს ისინი შეხვედრასა და ბავშვების გაცნობას გეგმავენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

გოგონამ გადაწყვიტა, მოლაპარაკე თუთიყუში ეყიდა. უამრავი მაღაზია შემოიარა და მხოლოდ ერთგან წააწყდა ასეთ თუთიყუშს. გამყიდველმა გააფრთხილა, რომ თუთიყუში დიდი ხანი ბორდელში ცხოვრობდა და ზრდილობით არ გამოირჩეოდა.

– არა უშავს, მაინც ვყიდულობ.

გოგონამ თუთიყუში სახლში მიიყვანა და გალიას გადასაფარებელი მოხსნა თუ არა თუთიყუშმა დაიძახა:

– ვაა, ვხედავ, ახალი გოგონა მიუღიათ.

ამ დროს ოთახში გოგონას დედა შემოვიდა.

– ამის დედაც... მამაშაც შეუცვლიათ!

ხმაურზე ოთახში მამა შემოვიდა.

– კლიენტები კი ისევ ძველია. გივის გაუმარჯოს, გივის!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენ სვამ?

– ეს თუ შეკითხვაა – არა, ხოლო თუ წინადადება, მაშინ კი.

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

– სად ხარ?

– რა, დაგავიწყდა, რომ სათევზაოდ ვარ?

– ძვირფასო, რომ წამოხვალ, თუ კალმახი ძვირი იქნება, მაშინ ქაშაყი წამოიღე.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ყველაზე საშინელი რომელი ფრაზა შეიძლება მოისმინოს მამაკაცმა, როდესაც სექსითაა დაკავებული?

– ძვირფასო, მე მოვედი!

●●●

ცოლმა ქმარს საყვარელთან შეუსწრო და გაცეცხლებული უყვირის:

– შე უნამუსო, ვისზე გამცვალე, ვისთან მღალატობ, შეხედე რას ჰგავს.

– აუუ, შენი მოსაწონი ხომ ვერავინ ვნახე, რაა!..

●●●

მამა სეროჟას ტურგენევის მოთხრობა „მუმუს“ უკითხავს და ბოლოს ეკითხება:

– შვილო, ძაღლი შეგეცოდა?

– ჰო, ხომ შეიძლებოდა, რომ გაეყიდა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號：HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

პენსიონერი საკუთარ დასაფლავებაზე დასასწრებ ბილეთებს ყიდის

დიდ ბრიტანეთში უკურნებელი სენით დაავადებულმა მამაკაცმა საკუთარ დასაფლავებაზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა დაიწყო.

უელსის დედაქალაქ კარდიფის მცხოვრებ კიტ კასს ბოლო სტადიის კიბო აქვს. 72 წლის მამაკაცი საკუთარ საქველმოქმედო ფონდში მუშაობს, რომელიც პროსტატის კიბოთი დაავადებულებს ეხმარება. კასსმა იფიქრა, რომ მისმა გარდაცვალებამ ფონდს შესაძლოა სარგებლობა მოუტანოს და ამიტომ ბილეთების გაყიდვა გადაწყვიტა, ხოლო შემოსული თანხა ფონდის ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს.

გაყიდვაშია ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ბილეთები, რომლებიც, შესაბამისად, 100, 50 და 25 ფუნტი სტერლინგი ღირს. ოქროს ბილეთის მფლობელებს გასვენების დროს შეეძლებათ მიირთვან ლობსტერი და დალიონ შამპანური. იმ სტუმრებს, რომლებიც ვერცხლის ბილეთების მფლობელები იქნებიან, მიართმევენ სენდვიჩს კრევეტებით და ღვინოს, ხოლო ბრინჯაოს ბილეთების მფლობელებს ლუდითა და ჩიპსებით დაკმაყოფილება მოუწევთ. სულ 500 ბილეთის გაყიდვაა დაგეგმილი.

სხვადასხვა კატეგორიის სტუმრები სხვადასხვა ოთახში განთავსდებიან. მათთვის კასსი სამ მიმართვას ჩაწერს. ის ასევე კომიკოსისა და მუსიკალური ჯგუფის მიწვევას გეგმას. პენსიონერს იმედი აქვს, რომ ნახევარი მილიონი ფუნტი სტერლინგის შემოსავალს მიიღებს.

კასსმა საქველმოქმედო ფონდი „წითელი წინდები“ 12 წლის წინ დააარსა, როდესაც მას პროსტატის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ასეთი სახელი ფონდს იმის გამო შეურჩია, რომ როდესაც მან დაავადების შესახებ შეიტყო, წითელი ფერის წინდები ეცვა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის განმანათლებელ საქმიანობას ეწეოდა და ათასობით მამაკაცს დაეხმარა. ამ დამსახურების გამო მას ბრიტანეთის იმპერიის ორდენი გადაეცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი

თარაზულად: 6. სხვადასხვა პოპულარული სიმღერისგან შედგენილი მუსიკალური ნაწარმოები; 7. ურანის თანამგზავრი; 8. მისამართი (ძვ.); 10. სასეირნო-ტურისტული გემი; 11. ქალაქი ამერიკაში; 13. ოთხი მუსიკოსის ანსამბლი; 16. ძველებური სამხედრო ქუდი; 19. ზოგიერთი ორგანოს ქსოვილის კვდომის კერა; 20. გარკვეული წესით დალაგებული საგნების სია.

შვეულად: 1. სასაზღვრო დაცვის ხაზი; 2. მოყავისფრო კანფეტი; 3. ღმერთების საჭმელი, რომელიც უკვდავებას, მარადიულ ახალგაზრდობასა და სილამაზეს ანიჭებს მათ; 4. პრემია, რომელსაც უხდიან გემის მფლობელს ტვირთის დროზე ადრე ჩატვირთვა-გადმოტვირთვისთვის; 5. ქურუმი ძველ საბერძნეთში; 9. ავადმყოფის ოთახი საავადმყოფოში; 12. ხმის რხევა სიმღერისას; 14. ხის მწვანე ბაყაყი; 15. სასვენი ნიშანი; 17. საზეიმო წვეულება; 18. პანტომიმის მსახიობი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

	1			2				3			4			5
6							7							
8														
						9				10				
11														
										12				
13	14			15					16				17	
							18							
							19							
20														